# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 5 ივლისი 2008 №153 (3377)

ფასი 50 თეთრი



**სვადბი ნე ბუდეტ!**

დინამო ნესვადბა დაიშუნა 2



**ნეტავ, ვინ ამღვრევს წყალს?**

ინფორმაცია ბუტიკიდან CR7 5



**იქ, სადაც აკვანი დაირწა**

სილვერსტოუნზე დღეს რბოლაა 13

# იტალიაში ასეთი წყობაა: ჩაწყობა

## და განა მარტო იტალიაში, სადაც ამას ებრძვიან მაინც

ახალი კალჩოპოლი იწყება იტალიაში: ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ხუთი ფეხბურთელი თამაშის ჩაწყობის ორგანიზების მცდელობაში ამხილა.

სააგენტო „როიტერის“ ცნობით, საქმე ეხება გასული სეზონის სერია A-ს ორ შეხვედრას, რომლებშიც ერთმანეთს ბერგამოს „ატალანტა“ და „ლივორნო“ ხვდებოდნენ.

ამ გუნდებს შორის გამართული პირველი მატჩი 1:1 დასრულდა, მეორეში კი „ატალანტამ“ 3:2 იმარჯვა.

მატჩების შედეგების შეთანხმებაში ადანაშაულებენ ბერგამოელ ჯანპაოლო ბელინის და „ლივორნოს“ ყოფილ კაპიტან დავიდ ბალერის. ხოლო „ლივორნოს“ კიდევ სამ მოთამაშეს — ალესანდრო გრანდონის და ძმებ ემანუელ და ანტონიო ფილიპინებს — ბრალი იმაში ედებათ, რომ მათ შეთანხმების თაობაზე იცოდნენ, მაგრამ შესაბამის ორგანოებს არ შეატყობინეს.

# ძალიან, ძალიან იოლად გამოსაცნობი ფინალი



## ისევ ფედერერი და ისევ ნადალი

ჩოგბურთში ბალახი ალოგიკურ საფარად ითვლება, მაგრამ ბოლო წლებში უიმბლდონი სწორედაც რომ ლოგიკური ფინალით სრულდება: საჩემპიონო სუპერმატჩში ერთმანეთს უკვე ზედიზედ მესამედ თანამედროვე ჩოგბურთის ორი ზვიგენი ხვდება. წინა ორში იმარჯვა ფედერერმა, რომელსაც მანამდე სამი სხვა დაემარცხებინა ლონდონურ მწვანეზე. ვინ იცის, ნადალმა ახლა მაინც გატეხოს ნავსი, მით უმეტეს, რომ სხვა საფრებზე ესპანელი აშკარად უპირატესობს

# დიდი გამოფენა

## მთელი საფრანგეთი გზებზე და ქუჩებში

არის სხვა ყველაფერი და არის „ტურ დე ფრანსი“, „ველოსპორტის ოლიმპი და ევერესტი“, როგორც ამ უდიდეს რბოლას სამგზის ჩემპიონმა ამერიკელმა გრეგ ლემონდმა უწოდა.

„ტურ დე ფრანსი“ არ არის ერთი კონკრეტული, თუნდაც ურთულესი და უპრესტიჟულესი სპორტული შეჯიბრი. „ტურ დე ფრანსი“ ცხოვრების სტილი და წესია, ის თავად ცხოვრებაა, რომელიც ყოველწლიურად, შუა ზაფხულში, ივლისის თვეში სამი კვირით იპყრობს მთელ საფრანგეთს და მთელ ველოსამყაროს.

ხვალ საფრანგეთის უკიდურეს დასავლეთში, ბრეტანის ნახევარკუნძულზე, ქალაქ ბრესტში 95-ედ დატრიალდება „ტურის“ კარუსელი, „დიდი მარყუჟი“, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ და სამი კვირა საფრანგეთი სულ სხვა ცხოვრებით იცხოვრებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სვადბი ნე ბუდეტ!

## დინამოს გერმანიაში თავდასხმა დაეშალა




**გერმანიაში** მოსამზადებლად მყოფი თბილისის „დინამო“ გასასინჯად მიწვეული ორი ჩეხი ფეხბურთელიდან გუშინ ერთს დაშორდა. მწვრთნელმა რაინერ ცობელმა 26 წლის მცველი იაროსლავ ნესვადბა „კარლ ცაისთან“ გუშინწინ წაგებული 1:2-ის შემდეგ შინ გააბრუნა და თან ამ ამბის მიზეზიც დაუფარავად თქვა:

— ჩვენ გუნდის გაძლიერება გვჭირდება და კვალიფიცირებულ ფეხბურთელებს ვეძებთ. ნესვადბა გუნდში მივიღეთ როგორც მარცხენაფლანგელი მცველი და ვიმედოვნებდით, რომ ამ პოზიციაზე საიმედოდ ითამაშებდა, მაგრამ „კარლ ცაისთან“ მატჩმა დამარწმუნა — ის „დინამოს“ დონის ფეხბურთელი არ არის. ნესვადბა „კარლ ცაისთან“ ორჯერ შევიყვანე შეცვლაზე და მეტოქის ორივე გოლი სწორედ მისი უხეში შეცდომების გამო მივიღეთ“.

ასე და ამგვარად, „დინამო“ სავარჯიშოდ მიწვეულთაგან ერთს უკვე შეელია და ახლა ცობელს ერთადერთი ფეხბურთელი დარჩა შესაფასებელი — ისიც ჩეხი, 24 წლის პაველ ჟირანეცი, რომლის თაობაზეც თბილისელთა თავკაცი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

„დინამოს“ გერმანული ბანაკიდან მნიშვნელოვანი სიახლე არაფერია, თუმცა კი, ერთხელაც გავიმეორებთ, რომ ამჟამად თბილისელები, ფაქტობრივად, უთავდამსხმელოდ ვარჯიშობენ და დღეს „ერფურტსაც“ ასე დაუპირისპირდებიან. გაბონელი ჟორჟ აკირემი, როგორც მისი თვისტომი მეკარე დიდიე ოვონო, „დინამოსთან“ ჯერაც არ იმყოფება, ილია სპასოევიჩი „კარლ ცაისთან“ მატჩისას დაშავდა, გიორგი მერებაშვილი და მათე ვაწაძე გერმანიაში წასვლამდეც ტრავმირებულები იყვნენ, მიხეილ ხუციშვილმა კი, გეცოდინებათ, რამდენიმე კვირის წინ აზერბაიჯანს მიაშურა.

ამათ არყოფნაში რაინერ ცობელის განკარგულებაში ჯერჯერობით ერთადერთი ფორვარდი, ჭაბუკი ზვიად ჯანთარია არის. ვნახოთ, როგორც გუნდის ექიმები ამბობენ, არც ერთი ფეხბურთელის ტრავმა სერიოზული არ არის და ისინი თამაშს ალბათ გერმანულ შეკრებაზევე მოასწრებენ.

**კობა ინასარიძე**

# ახალი ქართველობა უზბეკეთში

**გუშინდელ** „სარბიელში“ გვეწერა, უზბეკეთის ჩემპიონატში ქართველთა ნაკადი რომ აღმოვაჩინეთ.

ბოლოადგილოსან „უზ-დონგ ჟუ“-ში სამი ქართველია — მეკარე ზურაბ ქვაჩახია, თავდამსხმელები, ზვიად ქუთათელაძე და გიორგი მიქაძე.

ახლა კი სხვებზეც ვთქვათ: კარშის „ნასაფში“ (მე-5 ადგილზეა) თამაშობს 28 წლის რამაზ ჯაბნიძე, ვინც ბოლოს „ბათუმში“ გახლდათ.

ყველაზე „ქართული“ უზბეკური კლუბი კი „ანდიჟონია“ (მე-6 ადგილი): მცველი თენგიზ კობიაშვილი, ნახევარმცველი ზურაბ ძამსაშვილი და თავდამსხმელები — ლევან მდივნიშვილი, რომელმაც პირველივე მატჩში სამი გოლი გაიტანა, გიორგი კრასოვსკი და ვლადიმერ გოჩაშვილი.

გაგრძელება ალბათ იქნება...

**ბახა შალამბერიძე**

# 1:18! რად გვინდა ეს სახელობა?

**პორტუგალიურ** ალგარვეში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირი, სახელწოდებით, „მუნდიალიტო“, მწარე გამოდგა საქართველოს ფუტსალის ნაკრებისთვის.

პირველ მატჩში ჩვენებმა, შედარებით მოკრძალებულად, 1:4 წააგეს ლიბიის ნაკრებთან, გუშინ კი...

გვეეჭვება, „მუნდიალიტოზე“ ასეთი ანგარიში როდესმე დაფიქსირებულიყო: საქართველო მასპინძლებთან 1:18 განადგურდა!

რბილად რომ ვთქვათ: სირცხვილია!

**ლუკა თალაკვაძე**

# ტრნავა ახალი სერბით და ტესტებით

**„ვიტ ჯორჯიას“** საუეფასთასო მეტოქე ტრნავას „სპარტაკმა“ გუშინ-გუშინწინ ორი ტესტ-მატჩი გამართა. სლოვაკურ ქვედალიგელ „სალს“ 4:0 სძლია, უნგრულ „კაპოშვარს“ კი 1:1 ეთამაშა.

მომდევნო შეხვედრას ვიტელთა მეტოქე დღეს ჩაატარებს „ტრენჩინთან“.

განვლილ ორ მატჩში „თეთრ ანგელოზებში“ არ ჩანს კაპიტანი, სლოვაკეთის ნაკრების ცენტრალური მცველი პეტერ დოლეჟაი. სავარაუდოდ, ის არც „ვიტ ჯორჯიასთან“ იქნება, რადგან გუნდიდან წასვლას აპირებს.

ბარემ, „ტრნავას“ შემადგენლობებსაც გეტყვით...

„სალთან“:

*I ტაიმი: რუბანსკი, პონჩაკი, ჩიფერსკი, ნიანგი, ლ. ჰანცელი, კოპუნეკი, დურიში, ჰლავტოვიჩი, იელენკოვიჩი, პერესი, ბერნატი.*

*II ტაიმი: ჰრიდნა, იაკუბიჩკა, ტ. ჰანცელი, ჩიფერსკი, კრაკოვსკი, ჟედუნოვი, კოპაჩკა, პროჰაზკა, ჰრუშკა, ფილიპოვიჩი, კოჟუხი.*

გოლები ჰლავატოვიჩმა (5), ჰრუშკამ (49), ფილიპოვიჩმა (62) და ჟედუნოვმა (85) გაიტანეს.

„კაპოშვართან“:

*I ტაიმი: ჰრიდნა, პონჩაკი, ჩიფერსკი, ნიანგი, ლ. ჰანცელი, კოპაჩკა, პერესი, ჟედუნოვი, პროჰაზკა, ჰრუშკა, კოჟუხი.*

*II ტაიმი: რუბანსკი, ჰლავატოვიჩი, იაკუბიჩკა, ტ. ჰანცელი, დ. ჰანცელი, კოპუჩეკი, დურიში, ბერნატი, იელენკოვიჩი, გულდანი (პერესი 70), ფილიპოვიჩი.*

გოლი კოჟუხმა გაიტანა 28-ე წუთზე.

ტრნაველებს ერთი ახალი ფეხბურთელი შეემატათ: 30 წლის სერბი ნახევარმცველი ნებოისა იელენკოვიჩი, რომელიც წლეულს კრასნოდარის „კუბანში“ ირიცხებოდა, თუმცა მანამდე რვა წელი ბულგარეთის „ლიტექსში“ თამაშობდა.

**ილია ნანობაშვილი**

# თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადება

ყველასთვის ცხადია, რომ დღევანდელი ბავშვთა ფეხბურთი არასახარბიელო მდგომარეობაშია და მოითხოვს რეალურ ცვლილებებს.

გარდაქმნა აუცილებელია და ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, განსაზღვრული და მიზანმიმართული პოლიტიკა გაატაროს ამ სფეროში.

აქ წარმოდგენილია ძირითადი პრობლემები, რომელთა გამოსწორებაც აუცილებელია.

ჩვენ არ გვჭირს შეუმცდარობის დაავადება და გვესმის, რომ ყველაფერ ახალს დახვეწა და შევსება სჭირდება. აქედან გამომდინარე, ყველა დაინტერესებულ პირს ვთხოვთ გამოხმაურებას.

ველით თქვენს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.




# ასათიანის ევრო 2008

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველ მალხაზ ასათიანს რუსული „სპორტსდეილი“ ესაუბრა და ჩვენც თარგმანს მცირე შემოკლებით გთავაზობთ...

„მართალი გითხრათ, დიდ საფეხბურთო ტურნირებზე ყოველთვის იტალიას და რუსეთს ვგულშემატკივრობ. თუმცა, ორივე ესპანეთთან დამარცხდა. მიუხედავად ამისა, იმ ფეხბურთით, რაც რუსებმა აჩვენეს, ყველა კმაყოფილი უნდა იყოს — გულშემატკივრები, ფეხბურთელები, სამწვრთნელო შტაბი, საფეხბურთო კავშირი... ორი მატჩის გარდა, გუნდმა მაღალ დონეზე ითამაშა. ჰოლანდიელებმა, რომლებსაც ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდნენ, რუსეთს ვერაფერი დაუპირისპირეს. ამჟამად, გუს ჰიდინკის გუნდს უკვე სხვაგვარად აღიქვამენ. დარწმუნებული ვარ, გერმანიას რუსებთან 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იოლი მატჩები არ ელით. თუ რუსეთის ნაკრებმა თამაში ასე გააგრძელა, მაშინ მასთან ნებისმიერ გუნდს გაუჭირდება“.

მალხაზ ასათიანმა მისთვის დასამახსოვრებელი შეხვედრებიც გაიხსენა...

„ევროპის ჩემპიონატისას „ლოკომოტივი“ შეკრებას ავსტრიაში გადიოდა, ხოლო ესპანეთ — რუსეთის ნახევარფინალს მთელი გუნდი დავესწარით. ჩემპიონატზე ბევრი სანახაობრივი შეხვედრა გაიმართა. მომეწონა თურქეთის ნაკრები. ასევე, დასამახსოვრებელი იყო რუსეთის თამაში შვედეთსა და ჰოლანდიასთან, ჰოლანდიის შეხვედრა იტალიასთან და საფრანგეთთან, ხორვატების — გერმანიასთან. სამწუხაროა, რომ ფინალი ცოტა მოსაწყენი გამოდგა, მაგრამ ესპანეთი ისე კარგად ირჯებოდა, რომ გერმანიას წარმატების შანსი არ დაუტოვა“.

რაც შეეხება ჩემპიონატის გამორჩეულ მოთამაშეებს, ვინმეს გამორჩევა ასათიანს უჭირს:

„ასეთი დონის ტურნირების შემდეგ სიმბოლურ ნაკრებს ადგენენ და საუკეთესო ფეხბურთელებს ასახელებენ. ჩემთვის არჩევანის გაკეთება ძნელია, რადგან ბევრი იყო გამორჩეული. ესპანელები — სერხიო რამოსის და ინიესტა, რუსეთის ნაკრებში არშავინმა, ჟირკოვმა, ანიუკოვმა, ზირიანოვმა, პავლიუჩენკომ ითამაშეს კარგად... კონკრეტულად ერთი მოთამაშის გამორჩევა გამიჭირდება“.

და კიდევ: მალხაზ ასათიანი შოთა არველაძეზე: „საწყენია, რომ არველაძემ კარიერა დაასრულა, მაგრამ იგი ფეხბურთში მაინც რჩება. ის უნიჭიერესი მოთამაშე იყო და პლუს, ბევრი რამ ისწავლა ისეთი ცნობილი მწვრთნელისგან, როგორიც ლუის ვან გაალია. ამჟამად, არველაძე „ალკმაარში“ ვან გაალის თანაშემწედ მუშაობს და დარწმუნებული ვარ, საუცხოო სპეციალისტი გახდება, ისეთი, როგორიც დღესდღეობით ქართულ ფეხბურთს აკლია“.

**ბახა შალამბერიძე**

# იტალიამ ბრაზილია და უდინე თქვა

**იტალიის** ნაკრები, რომელსაც რობერტო დონადონის ნაცვლად მარჩელო ლიპი გაწვრთნის, ამხანაგურ შეხვედრას ბრაზილიასთან გამართავს.

მატჩი 2009 წლის 11 თებერვალს შედგება, მაგრამ მისი ჩატარების ადგილი ჯერჯერობით უცნობია.

სავარაუდოდ, თამაში ლონდონში შედგება, თუმცა, ბრაზილიელები აცხადებენ, რომ ეს საკითხი არ გადაწყვეტილა.

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იტალია საქართველოს ნაკრების მეტოქეა და გაირკვა ისიც, რომ 10 სექტემბერს იტალია საქართველოს ქალაქ უდინეში, სტადიონ „ფრიულიზე“ უმასპინძლებს.

**ბახა შალამბერიძე**

### ამხანაგური მატჩები

ოლბორგი 4:1 ვიბორგი
ტიროლი 0:4 უნტერჰახინგი
ზალცბურგი 3:0 სტიაუა
გრაცერი 0:4 გრატკორნი
ლიუბეკი 0:3 ვოლფსბურგი
კერნტენი 2:2 კიოლნი

### ირლანდია

პრემიერლიგა
XVII ტური

კორკი 3:2 გალვეი
დროჰედა 2:1 დუბლინი
შემროკი 0:0 კობი
ბრეი — ბოჰემიანსი გადაიდო

### აშშ

მეიჯორ ლიგა. XVI ტური

სოლტ ლეიკი 0:0 ჰიუსტონი

# მადლობა ამერს და წაველი



რუსთავის „ოლიმპმა“ დენის დობროვოლსკი რომ შეიმატა, გუშინდელ „სარბიელში“ გამცნეთ. დობროვოლსკის თბილისის „ამერთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და „ოლიმპში“ გადასვლა არჩია. უკვე ორი დღეა, ყოფილი ამერელი ხვიჩა ქასრაშვილს გუნდთან ერთად ემზადება და გუშინ ნავარჯიშევს გავესაუბრეთ. რა თქმა უნდა, პირველად „ამერიდან“ წასვლის მიზეზი ვკითხეთ...

— „ამერთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა და „ოლიმპიდან“ შემოთავაზება მივიღე. მათი პირობები მომეწონა და ასე აღმოვჩნდი „ოლიმპში“.

— „ამერს“ არ შემოუთავაზებია დარჩენა?

— როგორ არა, მაგრამ ამ ეტაპზე „ოლიმპი“ ჩემთვის უკეთესი ვარიანტი იყო.

— „ოლიმპთან“ 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმე. შენი ხნის ფეხბურთელისთვის ბევრი ხომ არ არის?

— კონტრაქტში არის პუნქტი, რომ თუ კარგი ევროპული გუნდის ვარიანტი გამოჩნდა, ხელს არ შემიშლიან.

— ახლა არ გქონია უცხოეთიდან შემოთავაზება?

— არა.

— გულშემატკივრებმა „ამერიდან“ გაგიცნეს. ამ გუნდთან ერთად ორ-ორჯერ საქართველოს თასი და სუპერთასი მოიგე. რას იტყვი „ამერში“ გატარებულ პერიოდზე?

— ეს წლები ყოველთვის კარგად გამახსენდება. „ამერის“ ხელმძღვანელობიდან დაწყებული, მინდა, ყველას დიდი მადლობა გადავუხადო. თუმცა ფეხბურთელის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა სხვა გუნდში უნდა წავიდეს. ახლა ჩემი კარიერისთვის „ოლიმპში“ თამაში უფრო პერსპექტიულად ჩავთვალე, თუმცა „ამერი“ ყოველთვის მემახსოვრება.

— რუსთავის „ოლიმპში“ საკმაოდ სოლიდური შემადგენლობა შეიკრიბა და კლუბის ხელმძღვანელობა რა მიზანს ისახავს?

— „ოლიმპი“ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს.

**ნუკრი ლოლაძე**



# შოთა და აიაქსი

ამსტერდამის „აიაქსმა“ თავის ყოფილ ფეხბურთელ შოთა არველაძეს მორიგი საჩუქარი გაუკეთა — სამი ყუთი ფორმის კომპლექტი გადასცა.

ფორმის დიზაინი 2007-08 წლების სეზონისაა, მომავალ სეზონში კი „აიაქსი“ სხვა ფორმით ითამაშებს.

ამგვარი საჩუქარი „აიაქსმა“ შოთას რვა წლის წინაც მიართვა, მაშინ ფორმები ტყუპისცალმა თბილისის „დინამოს“ გადასცა.

„აიაქსის“ წლევანდელი საჩუქარი „ფონდი არველაძის“ საკუთრებაა და, რა თქმა უნდა, მას მხოლოდ საქველმოქმედო მიზნებისთვის გამოიყენებენ.

**ლუკა თალაკვაძე**

# რუსთაველი ამბავ-ხაბარი: ბევრი მიდის, ბევრი მოდის

რუსთავის „ოლიმპში“ ყოველდღიურად რაღაც სიახლე ხდება. როგორც გუშინ კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ზურაბ ჯაფარიძემ გვითხრა, გუნდი ვლადიმერ ჯოჯუამ და გიორგი გაბედავამ დატოვეს. მათ მშობლიურ ზუგდიდის „მგლებს“ მიაშურეს. ტრანსფერზეა ნახევარმცველი ლაშა ქებაძე.

გუნდთან ერთადაა გიორგი ონიანი, რომელიც გერმანულ „კარლ ცაისში“ ირიცხებოდა. როგორც თავად ონიანმა გვითხრა, უკრაინული და რუსული ვარიანტები აქვს და უახლოეს დღეებში გაარკვევს, სად წავა. ისე, ჯაფარიძე არც ონიანის „ოლიმპში“ დარჩენას გამორიცხავს.

კიდევ ერთი კარლცაისელი გიორგი სეთურიძე კი დღე-დღეზე უნდა დაბრუნდეს საქართველოში. ფაქტობრივად, „ოლიმპში“ მისი დაბრუნება გადაწყვეტილია. ამ დღეებში ელიან გაბონელ ერნესტ აკუასაგას და ჯაფარიძის თქმით, მას ორი გაბონელი ფეხბურთელიც ჩამოჰყვება — ერთი მცველია, ერთიც ნახევარმცველი. სანამ აკუასაგა ჩამოვა, მანამდე რუსთაველები ორ ბრაზილიელსაც ელიან, მცველს და თავდამსხმელს. სავარაუდოდ, ბრაზილიელები „ოლიმპთან“ ერთად დღეიდან ივარჯიშებენ.

რუსთაველები მოლაპარაკებას აწარმოებენ გიორგი ხიდეშელთანაც, რომელსაც „ზესტაფონთან“ კონტრაქტი უმთავრდება და გაგრძელებისგან თავს იკავებს. მისი საკითხიც უახლოეს დღეებში გადაწყდება.

და ერთიც: 7 ივლისს კი „ოლიმპი“ რუსთავში აზერბაიჯანულ „სიმურგს“ ამხანაგურად გაეჯიბრება.

**ნუკრი ლოლაძე**

# მელქაძემ გაგრაში გოლი მიიტანა
## სიმურგი მეორე ჩხეტიანს აკვირდება

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „გაგრა“ ახალი სეზონისთვის ემზადება და პირველი საკონტროლო მატჩიც გამართა. გაგრელები საქართველოში სტუმრად მყოფ აზერბაიჯანულ „სიმურგს“ გაეჯიბრნენ და 2:3 დამარცხდნენ.

თავიდან „გაგრა“ გაბუნიას გოლით დაწინაურდა, პირველი ტაიმის მიწურულს სტუმრებმა გაათანაბრეს, მეორე ტაიმში კი სულაც 3:1 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ ყაზახეთიდან დაბრუნებულმა ფორვარდმა ლევან მელქაძემ ივარგა და სხვაობა შეამცირა.

„პირველი მატჩი იყო და არ ველოდი, ფეხბურთელები ასე თუ ითამაშებდნენ. ხანდახან ტემპში ვჯობდით კიდეც მეტოქეს, მაგრამ „სიმურგი“ უფრო შეკრული და გამოცდილი გუნდია და ამის ხარჯზე მოგვიგეს. ნაკლი ბევრი დავინახე, მაგრამ ამ ეტაპზე ეს საჭიროცაა. შევეცდებით, მალევე გამოვასწოროთ“ — გვითხრა გუშინ „გაგრას“ მწვრთნელმა გია ჭიაბრიშვილმა, რომელმაც გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *ხომერიკი, ა. ტეტუნაშვილი, ბ. ტეტუნაშვილი, მგელაძე, გაბუნია, ქაჯაია, ჩარგეიშვილი, შარიქიძე, ლ. სეთურიძე, ფილია, ყაზარაშვილი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ქვრივიშვილი, ლალიანი, კორიფაძე, ლ. მელქაძე, ქუცურუა.*

ერთიც, „სიმურგის“ შემადგენლობაში დავით ბოლქვაძემ (საგოლე პასი), მიხეილ მახვილაძემ და ზვიად ჩხეტიანმა ითამაშეს.

ექსლოკომოტიველი ზვიადი აზერბაიჯანულ კლუბში გასინჯვაზეა, მის უფროს ძმას, სიმურგელ კახას კი ტრავმის გამო არ უთამაშია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გია მესხელი: ყველამ ზურგი გვაქცია
## რატომ ხდება, რომ იქ ისეა და აქ ასე?!

**გასული სეზონის აღმოჩენა, ახალციხის „მესხეთი“, ახალი სეზონისთვის ემზადება. სამი დღეა, გუნდი შეიკრიბა და მზადების პირველ ეტაპს შინაურ კედლებში გადის. ერთია, მესხები ფინანსურად ცოტას მოიკოჭლებენ, თუმცა მისი პრეზიდენტი გია მესხელი იმედს არ კარგავს და ახალი ჩემპიონატისთვის ისევ ამბიციურ „მესხეთს“ გვპირდება. ახალციხელთა გეგმებზე სასაუბროდ მესხელს გუშინ შევეხმიანეთ**



— გუნდი უკვე შეიკრიბა და ვარჯიში დაიწყო. ასეა თუ ისე, ძირითადი ბართვი შევინარჩუნეთ. დღეს-ხვალ რამდენიმე ახალგაზრდას ველოდებით. ერთ კვირაში კი საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით.

**— ძირითადი ბირთვი კი შეინარჩუნეთ, მაგრამ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა გუნდი დატოვა...**

— თემურ ლონლაძე რომ წავიდოდა, აქამდეც ვიცოდით — ჩვენ ის „ვიტ ჯორჯიადან“ გვყავდა ნათხოვარი. შევეცადეთ, გამოგვესყიდა, მაგრამ არ გამოვიდა. ასევე დიდი დანაკლისია ალეკო კოშკაძის წასვლა. გუნდი დატოვა ზურაბ მუშკუდიანმაც.

**— გაძლიერებას არ აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, რამდენიმე ფეხბურთელის დამატება გვსურს და მოლაპარაკებებსაც ვაწარმოებთ. ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი დროა და არ ვჩქარობთ, ალბათ უახლოეს ხანში რამდენიმე სიახლეს მოგაწვდით.

**— „მესხეთი“ ახალციხეში ვერ ითამაშებს...**

— სამწუხაროდ, ბორჯომში მივიღებთ მეტოქეებს. ძალიან ცუდია, რომ ახალციხელ გულშემატკივარს ასეთ სიამოვნებას ვუკარგავთ...

**— არ ესწრება სტადიონის რეკონსტრუქცია ახალი სეზონის დაწყებამდე?**

— არ ესწრება კი არა, არც კეთდება. ჯერჯერობით სახელმწიფოს დაპირებები არ სრულდება.

**— კლუბში ფინანსურად რა მდგომარეობაა?**

— ამ ეტაპზე ცუდი. ვერ გამიგია, თუ შეიძლება, სხვა გუნდებს დაეხმარონ გამგეობები, ჩვენ რატომ აგვიკრძალეს?!

**— მიზეზს არ გეუბნებიან?**

— გვითხრეს, პრეზიდენტის პროგრამაში ხართო, მაგრამ, როგორც ვიცი, არანაირ პროგრამაში არ ვართ.

**— და რას აპირებთ?**

— მომავალ ჩემპიონატში რომ ვითამაშოთ, სულ ცოტა, 600 000 ლარია საჭირო. ჯერჯერობით რაც შევძელი, ის არის, რომ გუნდი შევკრიბე და ვარჯიში დავაწყებინე. ახლა იძულებული ვარ, კლუბის აქციების ნაწილი რომელიმე ბიზნესმენს ან კომპანიას მივყიდო, რათა „მესხეთმა“ არსებობა შეძლოს. იმედს არ ვკარგავ და „მესხეთიც“ არ დაიკარგება. პირიქით, ვეცდებით, იმაზე უკეთ ვითამაშოთ, ვიდრე წინა სეზონში. მეოთხე-მეხუთე ადგილის დაკავება არარეალური არ ჩანს.

**— ასეთ მდგომარეობაში შეკრების გავლაც გაგიჭირდებათ...**

— ჯერ ასეა და მალე გაირკვევა, რა გველის.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბადრი კეთილაძის ფოტოები





ბადრი კეთილაძის ფოტო

# ლოკომოტივი სახლში შედის

**ქართული** ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა მოშლილი ინფრასტრუქტურა რომ არის, საკამათო არ უნდა იყოს. ჩვენს კლუბებს ბაზა კი არა, ხეირიანი სათამაშო მოედანიც არ გააჩნიათ და ჩემპიონატის მატჩების უმრავლესობა ოღროჩოღრო მოედნებზე იმართება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის „ლოკომოტივი“ საგურამოში ბაზას რომ აშენებენ, ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება. „ლოკომოტივის“ დირექტორმა ირაკლი ჩოთალიშვილმა რამდენიმე დღის წინ გვითხრა, სავარაუდოდ, ერთ თვეში გუნდი საგურამოში დაიწყებს ვარჯიშსო.

გუშინ „ლოკომოტივის“ წარმომადგენლებთან ერთად საგურამოს ვესტუმრეთ და ალალად ვიტყვით: იქაურობა ძალიან სასიამოვნო სანახავია. დათვალიერება შენობით დავიწყეთ. სამსართულიანი ნაგებობის პირველი სართულის კეთილმოწყობა, ფაქტობრივად, დასრულებულია. ჩოთალიშვილის თქმით, მხოლოდ გაზის შეყვანაა დარჩენილი და ამასაც მალე მოევლება.

სამი გადამწვანებული მოედანი — ორი ბუნებრივი და ერთიც ხელოვნური. პირველი მოედანი ქართული ბალახითაა დაფარული, მეორე მოედანი კი ჰოლანდიურია და სწორედ ის იქნება ცენტრალური. სარწყავი საშუალებები თანამედროვე დონისაა.

მესამე ხელოვნურსაფარიანი მოედნის გაკეთება ჯერ ბოლომდე არ დასრულებულა, თუმც მალე ისიც მზადყოფნაში იქნება.

ერთი სიტყვით, ახლო მომავალში „ლოკომოტივი“ საგურამოში დაბინავდება და იმედი ვიქონიოთ, რომ „ეტცელები“ მომავალში აღარ გამეორდება.

გუნდი ახლა შვებულებაშია და 7 ივლისს თბილისში შეიკრიბება, 10-ში კი ურეკში გააგრძელებს ახალი სეზონისთვის მზადებას.

**ნუკრი ლოლაძე**

# ზესტაფონმა უეფას თავი მოაწონა



„**ზესტაფონს**“ და ზესტაფონს გარჯა დაუფასდათ და უეფას თასის პირველი ეტაპის მატჩს შინ ჩაატარებენ — ასეთია უეფას პასუხი.

რეკონსტრუქცია კი, რომელიც დაახლოებით ერთი თვე მიმდინარეობდა, ალბათ მომავალშიც გაგრძელდება და სტადიონიც საბოლოოდ გაკოხტავდება, თუმცა საამისოდ ზესტაფონელებს მთავრობის დახმარებაც სჭირდებათ — სტადიონი ხომ ქალაქის საკუთრებაა და „ზესტაფონი“ უკვე რა ხანია, მის გადაცემას ითხოვს.

ეს ფოტოები კი „ზესტაფონის“ პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ მოგვაწოდა — აი, ასეთია გალამაზებული „ცენტრალური“.

**ბახა შალამბერიძე**






ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნეტავ, ვინ ამღვრევს წყალს?

## ინფორმაცია ბუტიკიდან CR7


ელმა ავეირუ და მისი ვარსკვლავი ძმა

**ააა, საიდან** ვიცით, რომ კრიშტიანუ რონალდუმ „მანჩესტერ იუნაიტედში“ დარჩენა გადაწყვიტა? მისმა უფროსმა დამ, ელმა ავეირუმ უთხრა „სანს“, „სანმა“ კი დანარჩენ მსოფლიოს მოგვახსენა.

ელმა ავეირუ ბუტიკის მაპატრონე ქალია — ეს ისე, ცნობითსათვის. საქმისთვის კი საინტერესო ის არის, რომ მისი თქმით, კრიშტიანუს ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის უთქვამს, „რეალის“ ცდუნებას როგორმე უნდა გავუძლო და „მანჩესტერში“ დავრჩეო.

ელმა: „კრიშტიანუს „მანჩესტერ იუნაიტედში“ სურს კარიერის გაგრძელება. მადრიდის „რეალი“ მას დღესაც ძალიან კარგ პირობებს სთავაზობს და გაზეთებშიც დღენიადაგ მარჩიელობენ, თუ სად ითამაშებს მომავალ სეზონში ჩემი ძმა, მაგრამ ჩვენ, ოჯახის წევრებმა კარგად ვიცით, სინამდვილეში რა ხდება. სინამდვილე ის არის, რომ მას, როგორც გითხარით, „მანჩესტერ იუნაიტედში“ სურს თამაში“.

ისევ ცნობისათვის: ელმა ავეირუ 34 წლისაა. ის განაგრძობს: „მე თუ მკითხავთ, მთავარია, სადაც არის, თავს ბედნიერად გრძნობდეს და კერძოდ სად ითამაშებს, ჩემთვის სულერთია. ჩვენ უბრალო, შეკრული ოჯახი ვართ და ძალიან ვამაყობთ, ასეთი ძმა რომ გვყავს“.

როგორც მოგახსენეთ, კრიშტიანუ რონალდუს და ბუტიკის მფლობელია. თუ „სარბიელის“ მკითხველთაგან ვინმე მადეირაში, კერძოდ ფუნშალში მოხვდებით, მაღაზია CR7-ში შეიარეთ და სათქმელი გექნებათ, რომ ესა და ეს იმ ბუტიკში შეიძინეთ, კრიშტიანუ რონალდუმ თავის დას ორი წლის წინ რომ უყიდა.

„რომ იცოდეთ, მაღაზიაში რამდენი ადამიანი შემოდის იმის საკითხავად, თუ რომელ გუნდში გადადის კრიშტიანუ, მაგრამ მე ვერაფერს ვპასუხობ. ერთადერთი, რაც მისგან ვიცი, ის არის, რომ ძალიან უყვარს „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ფუნშალელებსაც სწორედ ეგ უნდათ — ურჩევნიათ, ის მანჩესტერში დარჩეს“.

„სანის“ ჟურნალისტები კრიშტიანუს ბავშვობის ძმაკაცსაც გაესაუბრნენ. მან სახელი და გვარის დასახელება არ ისურვა, თქმით კი ასე თქვა:

„მეც ვიცი, რომ კრიშტიანუს მანჩესტერში სურს კარიერის გაგრძელება. და, რამ უნდა შეუშალოს ხელი? თუ დედა ან მეგობარი გოგონა მოენატრება (შესაძლოა, ძაღლის თავიც სწორედ ესპანელი მეგობარი გოგონას ხუშტურებში იყოს დამარხული) ნებისმიერ წამს შეუძლია საკუთარ თვითმფრინავში ჩაჯდეს და სადაც მოეპიანება, გადაფრინდეს“.

ამასობაში კი კრიშტიანუ და ხსენებული მეგობარი გოგონა ნერეიდა გალიარდო მზეს იტალიაში ეფიცხებიან.

**პაპუნა ძიდია**


კრიშტიანუ რონალდუ იტალიაში ნებივრობს


მაიკ ეშლი

# ნიუკასლი დახლზეა

**როგორც** ამბობენ, „ნიუკასლ იუნაიტედის“ მეპატრონესა და ამერიკელ ინვესტორებს შორის ჯერჯერობით არაოფიციალური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. თემა: კლუბის ყიდვა-გაყიდვა.

ცნობილი გახდა, რომ მაიკ ეშლის წარმომადგენლები ნიუ იორკში მოქმედ „ინტერმედია პარტნერზის“ დირექტორატს ერიგდებიან. ეშლის ამერიკელებისთვის თავისი ფასი დაუსახელებია, 420 მილიონი გირვანქა, რაც ამერიკულად რომ „ვთარგმნოთ“, 832,649 მილიონი დოლარია, ეს კი, თავის მხრივ, 566,994 მილიონი დოლარით მეტია იმ თანხაზე, ეშლიმ ერთი წლის წინ რომ გადაიხადა „ნიუკასლში“.

ნიუიორკული წყაროები ასეთი მოლაპარაკებების არსებობას ადასტურებენ, ნიუკასლში კი კომენტარისგან თავს იკავებენ.

**პაპუნა ძიდია**

# რაიტმა რაიტს ურჩი

**იან რაიტმა** შონ რაიტ-ფილიპსს უთხრა, დროა, „ჩელსიდან“ გუდა-ნაბადი აიკრაო.

წარსულში ვარსკვლავი მამინაცვალი 2005 წლის ივლისიდან ანუ გერის „მანჩესტერ სიტიდან“ „ჩელსიში“ გადასვლის დღიდან მოყოლებული ადევნებს თვალს, თუ როგორ „ბლაგვდება“ მისი კარიერა ლონდონში და ამიტომაც ურჩევს, „პორტსმუთის“ წინადადება ხელიდან არ გაუშვას. მამის ფიქრით, ჰარი რედნაპის ხელში ვაჟი ძველებურ ფორმას დაიბრუნებს.

„ვფიქრობ, შონისთვის „პორტსმუთი“ დიდებული გამოსავალია. მან ბევრი მედალი მოიგო, „ჩელსისთვისაც“ კარგად გაისარჯა, მაგრამ „პორტსმუთის“ მაგვარ გუნდში ის კარიერის მთლიანად გადასხვაფერებას შეძლებს. მასზე ისევ ისე დაიწყებენ ლაპარაკს, „მანჩესტერ სიტიში“ თამაშის წლებში რომ ლაპარაკობდნენ. „ჩელსიში“ მან მხოლოდ ეპიზოდურად აჩვენა ის ფეხბურთი, რომლის თამაშიც რეგულარულად შეუძლია. ის მაღალი დონის მოთამაშეა და თუ მუდმივად ძირითად შემადგენლობაში იქნება, შთაბეჭდილებას მოახდენს.

ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ის ჩემი შვილია. ის მართლა ძალიან ტექნიკური მოთამაშეა, დიდი ენთუზიაზმით და ჟინით. შონი გუნდისთვის დიდ სამუშაოს ასრულებს. მას „ჩელსიდან“ წასვლა ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვურჩიე, რადგან მის ხელჩასაჭიდ ცისარტყელას ვერ ვხედავდი. „ჩელსიში“ მას მხოლოდ შიგადაშიგ ათამაშებდნენ, ამის დაშვება კი მის ასაკში არ შეიძლება.

დღეს შონი 26 წლის არის და თუ „პორტსმუთში“ გადავა, მწამს, რეგულარულად ძირითად შე[...] ლობაში მოხვდება, რაც მას ძ[...] ან წამოწევს. ინგლისის ნაკრებ[...] ასე უფრო აიყვანენ, ვიდრე მხ[...] ლოდ იმიტომ, რომ დიდი კლუბ[...] წევრია. ამას რომ ვამბობ, არანა[...] მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რა მო[...] დება „ჩელსიში“ ფილ სკოლარი[...] ხელში. ვფიქრობ, შონი მაინც უნდ[...] წამოვიდეს“.

**პაპუნა ძიდ[...]**


იან რაიტი და შონ რაიტ-ფილიპსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხეტაფელი რაფა

**„ხეტაფემ"** „ვალიადოლიდისგან" 23 წლის მცველი რაფაელ ლოპეს გომესი ანუ რაფა გადაიბირა. იგი „ვალიადოლიდში" 2003 წლიდან თამაშობდა. 2005-ში ერთი წლით „ეიბარს" ათხოვეს და ისევ დაიბრუნეს.

„ხეტაფე" წინა სეზონში უეფას თასის მეოთხედფინალში გავიდა და „ბაიერნთან" დრამატულ მატჩში დამარცხდა. ამ ტურნირმა მათი ჯანი წაიღო და პრიმერაში მეთოთხმეტე ადგილზე გავიდნენ. მწვრთნელი მიქაელ ლაუდრუპი გადადგა და მისი ადგილი ვიქტორ მუნიოსმა დაიკავა.

## კაპსისი კუნძულიდან წავიდა

**კვიპროსის** აპოელ-იდან ბერძნულ „ლევადიაკოსში" მიხალის კაპსისი გადავიდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ევრო 2004-ის ჩემპიონმა მცველმა აპოელ-ში ორი სეზონი გაატარა, მანამდე კი „არისში", „ნეაპოლისში", „ანაგენისში", „ეთნიკოსში", აეკ-ში, „ბორდოში" და „ოლიპიაკოსში" თამაშობდა.

34 წლის კაპსისმა საბერძნეთის ნაკრებში 34 მატჩი და ორი გოლი მოაგროვა. „ლევადიაკოსმა", რომელსაც მომჩილო ვუკოტიჩი წვრთნის, წინა სეზონში მე-11 ადგილი დაიკავა.

## ჩინელი სუნი ვენაში

**ავსტრიის** ჩემპიონატში პირველი ჩინელი ფეხბურთელი ითამაშებს. ამაზე ვენის „აუსტრიამ" იზრუნა, რომელმაც პსვ-დან ჩინეთის ნაკრების მცველი სუნ სიანი შეიძინა. სიანი მხოლოდ ავსტრიის კი არა, ჩემპიონთა ლიგის ისტორიაშიც პირველი ჩინელი გახდა, როცა შარშან „არსენალთან" მატჩში შეცვლაზე შევიდა.

„აუსტრიას" პრეზიდენტმა ვოლფგანგ კატციანმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ფორვარდსაც იყიდიან.

გუნდი ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა და უეფას თასზე ითამაშებს — მეტოქე ყაზახური „ტობოლია".

## ფრაიმ სამამდე დათვალა

**უილბლო** ალექსანდერ ფრაი ალბათ სექტემბრის დასაწყისში საბოლოოდ გამოკეთდება და მოედანს დაუბრუნდება.

შვეიცარიის ნაკრების და „დორტმუნდის" მეგოლემ ევროჩემპიონატის პირველივე მატჩში მუხლი იტკინა და თვალცრემლიანმა დაასრულა ტურნირი.

მას ოპერაცია გაუკეთეს და ხალა სარეაბილიტაციო კურსს გადის. „ტრავმა მოსალოდნელზე მძიმე გამოდგა, მაგრამ მოშუშების საქმე გეგმის მიხედვით მიდის და სავარაუდოდ მესამე ტურში ვითამაშებ" — განაცხადა ფრაიმ, ბუნდესლიგა კი 15 აგვისტოდან გახურდება.

აქვე ვთქვათ, რომ „დორტმუნდმა" სტადიონის სპონსორთან კონტრაქტი 2016 წლამდე გააგრძელა და კვლავ „სიგნალ-იდუნა-პარკი" ერქმევა.

## ექვსი მილიონი მოდის

**ისრაელის** ფეხბურთის ფედერაციის მოლარეთა ანგარიშით, მსოფლიოს ჩემპიონატის (2010) შესარჩევი მატჩებისგან მათი ხაზინა 6 მილიონი დოლარით უნდა გამდიდრდეს. თანხის ნახევარს გასაღებული ბილეთებით მიიღებენ.

ფედერაცია დიდად ეიმედება, რომ ბლომად აბონემენტებსაც გაყიდიან და სტადიონიც ყოველ მატჩზე ბოლომდე შეივსება, თვით ლუქსემბურგთან მატჩზეც.

ებრაელები ფიქრობენ, რომ ეს ნამდვილად არაა „სიკვდილის ჯგუფი" (საბერძნეთი, შვეიცარია, მოლდოვა, ლატვია, ლუქსემბურგი) და მათი გასვლის შანსი ერთიორად გაზრდილია.

გარდა ამისა, მომავალი წლის დასაწყისში ისრაელში ნაკრებისთვის ახალი, 60-ათასიანი სტადიონის მშენებლობას ჩაეყრება საფუძველი. პროექტი, რომელიც 2013-ში უნდა დასრულდეს, 200 მილიონი დოლარი დაჯდება.

## სტანკევიჩიუსი სამპდორიაში

**კრისტიან მაჯოსა** და მისი სეხნია ძენონის გაშვების შემდეგ, „სამპდორიას" ახალი მცველი სჭირდებოდა და გენუელებმაც სერია B-ს ბინადარი „ბრეშასგან" ლიტველი მარიუს სტანკევიჩიუსი იყიდეს. ამ ზაფხულს ეს კლუბის პირველი შენაძენია. 27 წლის მცველს ცენტრშიც შეუძლია თამაში და მარჯვენა ფლანგზეც.

## ლედესმა სკუადრა აძურაში?

**რომის** „ლაციოს" ნახევარმცველი კრისტიან ლედესმა, შესაძლოა, „სკუადრა აძურაში" ვიხილოთ. იტალიური ფესვების მქონე არგენტინელი ნახევარმცველი აგვისტოში იტალიურ პასპორტს ელოდება და გამორიცხული არ არის, მარჩელო ლიპიმ მას ნაკრებში უხმოს. 25 წლის ფეხბურთელი ანდრეა პირლოს შესაძლო შემცვლელად მოიაზრება.

## მანუჩარიანი გაანათხოვრეს

**ამსტერდამის** „აიაქსმა" ახალგაზრდა და ნიჭიერი თავდამსხმელი ედგარ მანუჩარიანი „ნაიმეგენში" გაანათხოვრა. 21 წლის სომეხი ფეხბურთელი „ნაიმეგენში" ერთ წელს გაატარებს და სათამაშო პრაქტიკას მიიღებს.

**გაგა ხუციშვილი**



მარკოს სენა

## ტვირთისგან განთავისუფლება

**ამბობენ,** რომ მარკოს სენა „არსენალის" შემოთავაზებას ზურგს შეაქცევს და „ვილიარეალში" დარჩება — 31 წლის საყრდენი ნახევარმცველი თავის კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას ცდილობს.

სენამ, ახლანდელი კონტრაქტის თანხმად, „ვილიარეალში" 2010 წლამდე უნდა დაჰყოს, მაგრამ ესპანური „ლა ლიგას" გუნდს სურს, ფეხბურთული კარიერის ბოლომდე დაიტოვოს.

„სამშაბათს „ვილიარეალის" პრეზიდენტს შევხვდი და ხელშეკრულების ორი წლით გახანგრძლივებაზე ვისაუბრეთ, თუმცა ახლა ამ საკითხებით თავის შეწუხებას აღარ ვაპირებ. როგორც იქნა, შვებულება მელირსა და მინდა, გემრიელად დავისვენო".

თავის მხრივ, „ვილიარეალის" ხსენებულმა პრეზიდენტმა ფერნანდო როიგმა ასე განაცხადა:

„სენას კარიერის ბოლომდე ჩვენთან სურს დარჩენა და ის დიდებული პიროვნებაა. ჩვენ მისით ძალიან ვამაყობთ. ის „ვილიარეალში" თავს ბედნიერად გრძნობს და ამიტომაც არსად მიდის".

მარკოს სენამ ლონდონელი „მეთოფეების" ყურადღება ევროპის ჩემპიონატის დღეებში მიიპყრო. უშეცდომო, ყურადღებიანი თამაშის წყალობით უეფამ იგი შეჯიბრების სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. მატიე ფლამინის „მილანში" გადასვლის შემდეგ ესპანელი ნახევარმცველი „არსენალისთვის" მართლაც ზედგამოჭრილი იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არსენ ვენგერის სურვილს ახდენა არ უწერია.

თავად სენა კი ამბობს, რომ ევრო 2008-ზე გამარჯვება ესპანეთის ნაკრებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისთვის საკუთარი თავის რწმენით აღავსებს. წარმოშობით ბრაზილიელმა ვარსკვლავმა თქვა:

„კარგად ვიცი, რომ დანარჩენი მსოფლიოს დაპყრობა კიდევ უფრო ძნელია, რადგან იქ ბრაზილია და არგენტინა შედის, მაგრამ ოცნებას წინ რა უდგას? ევრო 2008-ზე გამარჯვება ჩემი კარიერის უდიდესი მიღწევაა, თუმცა მწამს, ბოლო არ არის. ამ ჩემპიონობით მხრებიდან უდიდესი ტვირთი ჩამოვიხსენით. ეჭვი არ მეპარება, ამიერიდან ხშირად გავიმარჯვებთ".

შეგახსენებთ, რომ „ვილიარეალმა" გასულ სეზონში „ლა ლიგაში" მეორე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგაში უნდა იასპარეზოს, რაც, მარკოს სენასთვის, ბუნებრივია, „ლა მადრიგალზე" დარჩენის მორიგი მიზეზი გახლავთ.

**ბაკუნა ძიდია**

## იტალიას ოლიმპიადის მოგება სურს

**იტალიის** ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა პიერლუიჯი კაზირაგიმ 22-კაციანი სია დაასახელა და ამ შემადგენლობით პეკინში გაემგზავრებას აპირებს. თუმცა კაზირაგის სარეზერვო სიაც აქვს, რომელშიც 15 ფეხბურთელია და მათ „აძურინიში" მოხვედრის შანსი ჯერ კიდევ აქვთ. საბოლოო გადაწყვეტილებას ახალგაზრდა მწვრთნელი 6 ივლისის მერე მიიღებს, როცა იტალიის ახალგაზრდული ნაკრები პისტოიაში გაეჯიბრება რუმინეთს.



პიერლუიჯი კაზირაგი

მოგეხსენებათ, კაზირაგის 23 წელს გადაცილებული 3 მოთამაშის გამოძახება შეეძლო, მაგრამ მხოლოდ ერთი, რომის „ლაციოს" 30 წლის თავდამსხმელი ტომაზო როკი მიიწვია.

„ამ ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ოლიმპიადის მოგება სურთ და გამოცდილი როკი მათ უდავოდ დაეხმარება" — განაცხადა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო აბეტემ.

იტალიის ლიგის პრეზიდენტი ანტონიო მატარეზე: „ოლიმპიადის მოგება ადვილი არ იქნება, მაგრამ ევრო 2008-ზე წარუმატებლობის შემდეგ, ფეხბურთს ჩვენს ქვეყანაში ახალი წარმატება და ბუმი სჭირდება. ვიცი, ბიჭები ბოლომდე დაიხარჯებიან. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, მარჩელო ლიპის დასამტკიცებელი აღარაფერი აქვს, მან მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო და ამით ყველაფერია ნათქვამი. რობერტო დონადონის კი გაწეული სამოუშაოსა და დიდი პროფესიონალიზმისთვის ქება ეკუთვნის. მას არცთუ ადვილ პერიოდში მოუწია მუშაობა და ნაკრებმა შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა".

აქვე გთავაზობთ კაზირაგის განაცხადს.

**მეკარეები:** კონსილი (ატალანტა), სირიგუ (პალერმო), ვივიანო (ბრეშა).

**მცველები:** ს. ბოკეტი (ჯენოა), კოდა (უდინეზე), კრიშიტო (ჯენოა), დე ჩელიე (იუვენტუსი), დე სილვესტრი (ლაციო), მოტა (უდინეზე), რანოკია (არეცო).

**ნახევარმცველები:** აბატე (მილანი), ჩიგარინი (პარმა), დესენა (პარმა), მარკიზიო (იუვენტუსი), მონტოლივო (ფიორენტინა), ნოჩერინო (პალერმო), რუსოტო (ტრევიზო).

**თავდამსხმელები:** აკვაფრესკა (კალიარი), კანდრევა (უდინეზე), ჯოვინკო (იუვენტუსი), როკი (ლაციო), ჯ. როსი (ვილიარეალი).

**სარეზერვო სია:** ალფონსო (ვენეცია), ბასი (ემპოლი), კურჩი (სიენა), კანინი (კალიარი), ანდრეოლი (ვიჩენცა), მარძორატი (ემპოლი), პიზანო (კალიარი), ბოლცონი (ინტერი), მ. როსი (პარმა), გალოპა (სიენა), გვარენტე (ატალანტა), მოროზინი (ვიჩენცა), ლანძაფამე (პალერმო), ოსვალდო (ფიორენტინა), პელე (ალკმაარი).

**გიორგი ძაძაბაძე**

ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

| კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ |
| --- | --- | --- | --- | --- |

— მგონი, ცხოვრება აძინიქსში გამექცა და დაზღვევას ვერ ვასწრებ...

— რა კუშოსოფიის ლექტორივით ბაზრობ, ტო! ცოტა გასწორდი, თორე სამბას ილეთებს დაემსგავსე.

რას იგრიხები, „ფლუმინენსეს" თასის აღება ხო არ გეწერა?

— ნუ, კაროჩე, რა! პროსტაამც, მეთქი ეს ავსტრია-შვეიცარიის კაზინო დახურონ და მერე უეჭველი ხელს გავტეხავ.

— მაიცა, ტო, რომელი კაზინო?

— რომელი და ევროპის ჩემპიონატი რო ერქვა.

აბა, ეგ ფუტბოლი გეგონა? ყომარბაზები არიან, ძმაო. ეგ კაზინო ლიჩნად პლატინისა ყოფილა.

— ლიჩნად კი, მარა როზეტი და კიდე რამდენიმე მსაჯი წილშია. ხო ნახე, ტო, ნემცების უეჭველ პენალტზე შვიშტოკი რო გადაყლაპა და მერე სილვა რო არ გააგდო.

— უშავეს პალასაზე ვიჯექი და მეთქი ამ ევროკავშირელ სატანებს გავეყრები, სამხრეთ ამერიკას ვითამაშებ, რო...

— გაეყარე, ტო! კონტრაქტი ხო არა გაქ!

— დამდევენ ძმაო, დამდევენ! პრესინგს მეთამაშებიან. მე კიდე ზბორები არ გამივლია და მალე ვიღლები.

ევროპაზე სამი კუბამეტრი მაყუთი წავაგე და მეთქი, მოდი, გალმელებს დავწერ, ეს სატანები სანამ იქ მოვლენ, ერთი-ორ კაპიკს მოვიგებ...

— მერე?

— კოლუმბივით მომადგნენ, ძმაო! არა, ნუ, პროსტაამც, შენ რო „ფლუმინენსე" ხარ, „კიტოსთან" როგორ უნდა წააგო!

— წელჰნვე მოვწვი ტო! დაჟე გითხარი, რა სამბა-რუმბა-ჩაჩასავით იგრიხები-მეთქი. ისეთი ფინტებით შემოხვედი, რო სრაზუ გავაიასნე, „ფლუმინენსემ" გაგხადა.

— თამაში ნახე? მასტები პიდისიატშესტოიზე ტრი აძინს იგებდნენ და მერე იმენა გაჩერდნენ. პადობნი არაფერი მინახავს, ძმაო. „კიტოსთან" რატო უნდა დაატორმუზო, ეკვადორი და ფუტბოლი? ბრაზილიელი არა ხარ?

— აბა, ტო! რა „კიტო", რის „კიტო"... კაროჩე, მე რა მგონია, იცი? ეგ ევროკავშირელი სატანები პიდისიატპიატიზე ჩავიდნენ ბრაზილიაში და შენი ბილეთიც მამენტ მანდ მიიცვალა...

— დღეს აღარ ვიცი, რა დავწერო. „გრბალი რადანოვიჩის" ერთიანი არა გგონია?

— რა „რადანოვიჩი" და აბრამოვიჩი. გუნდი ყოფილა „ეტცელა", ტო! დღეს მაგარი „ეტცელა" ვარ „სატურნთან". მაგათ „ლოკომოტივთან" თამაში დამალეს და აი, ნახავ, „სატურნს" თავზე ბურთი თუ არ გადაახიონ.

**ქუში ქოჩმარია**

ჩემი ბილეთი

უიმბლდონი. დები. ფინალი

001 ს.უილიამსი — ვ.უილიამსი

შედეგი: გათიშვა დედმამიშვილის სადღეგრძელომდე

სავარაუდო მოგება: ოჯახური ორ ქალზე

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რა ესროლა რაულმა ლუის არაგონესს, როცა პირისპირ შეეჯახა მადრიდში, კაფე „4-4-2"-ში.

114140 *

# იუვენტუსის ახალი სპონსორი

**გავრცელებული** ინფორმაციით, „იუვუნტუსის" წარმომადგენლები მადრიდში გაემგზავრნენ, რათა „რეალს" როისტონ დრენტეს ტრანსფერზე მოელაპარაკონ. მოგეხსენებათ, ტურინელები ნახევარმცველს ეძებენ და ახალგაზრდა ჰოლანდიელის ერთი წლით თხოვება სურთ.

„ნახევარმცველი გვაკლია და ორსამ ფეხბურთელზე ვმუშაობთ, რომლებზეც პრესაში უკვე დაიწერა. მთავარია, სწორი არჩევანი გავაკეთოთ. მინდა მადლობა გადავუხადო და ჩემი დიდი პატივიცემა გამოვხატო „ფიორენტინას" მწვრთნელის ჩეზარე პრანდელის მიმართ. ის კარგი ფეხბუთელი იყო და ჩინებული მწვრთნელია. ვსაუზმობდი და ყავას ვსვამდი, როცა რადიოში პრანდელის ვუსმინე და ყველაფერი უფრო გემრიელი მეჩვენა. მან თქვა, რომ „იუვენტუსი" უკვე ძალიან სერიოზული გუნდია და მომავალ სეზონში ტურინელების უნდა გვეშინოდესო" — ღიმილით განაცხადა „ბიანკონერის" პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ.




ამასობაში, „იუვენტუსმა" ახალი სპონსორი იპოვნა — სადაზღვევო სფეროში ერთ-ერთი წამყვანი კომპანია Willis. მხარეებმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. ბუნებრივია, ამ კომპანიის სახელი ტურინელთა მაისურაზე ამოიტვიფრება. „ბებერი ქალბატონის" ახალი საგარეო ფორმა ოქროს ფერის იქნება.

„ეს კონტრაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ყოველთვის ყველაფერ საუკეთესოს ვირჩევთ. იტალიის ბაზარზე Willis უკვე 100 წელზე მეტია მუშაობს და ამ კომპანიას დიდი გამოცდილება და კარგი სახელი აქვს" — განაცხადა „იუვეს" დირექტორმა ჟან-კლოდ ბლანმა.

**გიორგი ძაძამიძე**

## კრესპო თავისუფალი აგენტია

**ერნან კრესპოს**, რომელმაც ბოლო ორი სეზონი იჯარის წესით მილანის „ინტერში" გაატარა, ლონდონის „ჩელსისთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა თავისუფალი აგენტია. 32 წლის ფორვარდს „რომასა" და სხვა კლუბებს უკავშირებენ. კრესპო, ვინც „ჩელსის" რიგებში 49 მატჩში 20 გოლი გაიტანა, პირველი ფეხბურთელია ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, რომელსაც ამ ტურნირში გოლები ხუთი სხვადასხვა კლუბის მაისურით გაუტანია.

## ახალი კანონი

**იტალიაში** ახალი კანონი შემოიღეს, რომელიც ამიერიდან კლუბებს შემადგენლობაში ერთის ნაცვლად ორი არაევროკავშირელი მოთამაშის ყოლის უფლებას აძლევს. აპენინელთათვის ეს სასიხარულო ინფორმაციაა, რადგან, მაგალითად, ესპანეთში გუნდებს შეუძლიათ, სამი არაევროკავშირელი იყოლიონ, საფრანგეთში კი ოთხი.

## ბედნიერი რიისე

**„რომას"** ნორვეგიელი ახალწვეული იონ არნე რიისე უკვე დარწმუნებულია, რომ „გლადიატორთა" რიგებში გადაბარგებით სწორი არჩევანი გააკეთა.

„ვაშინგტონ ვიზარდსი" არათუ გადაურჩა დაშლას, არამედ შემდგომი განვითარებისთვის ძალზე ხელსაყრელი საფუძველი შეიქმნა. „ჯადოქრების" სამი ვარსკვლავიდან ორი თავისუფალი აგენტი გახლდათ. და ერთიც რომ წასულიყო, დედაქალაქელებს პლეიოფში გასვლაც კი სათუო გაუხდებოდათ. მაგრამ გუნდმა საკმაოდ კარგი პირობებით შეინარჩუნა ორივე — ჯილბერტ არენასიც და ანთაუნ ჯემისონიც.

გუნდის ლიდერი ჯილბერტ არენასი თავის კლუბს ახალ კონტრაქტზე შეუთანხმდა, რომლის მიხედვითაც ის კიდევ ექვსი წლით დარჩება დედაქალაქში და ამ პერიოდში ხელფასის სახით 111 მილიონს მიიღებს. თითქოს ძალზე ბევრი ჩანს და ასეთმა კონტრაქტმა ვინძლო წელშიც გაწყვიტოს კლუბი, მაგრამ „ვაშინგტონს" ბევრად მეტის გადახდა მოუწევდა, თავად კალათბურთელს რომ არ გამოეჩინა კეთილშობილება, ან გინდაც კეთილგონიერება და მისი რანგის მოთამაშისთვის განსაზღვრულ მაქსიმუმი მოეთხოვა.

არენასი რომ შეენარჩუნებინა, კლუბმა მას 6-წლიანი და 127-მილიონიანი კონტრაქტი გაუმზადა, მაგრამ „ჯადოქრების" საუკეთესო მოთამაშემ თავად ჩამოიჭრა 16 მილიონი, გუნდი ცოტა ამოისუნთქებს და რამდენიმე ხეირიან მოთამაშესაც აიყვანსო. ჩვენში დარჩეს და, რა იოლია ათეული მილიონის გაცემა, როცა კაცს ასეული აქვს, არა?

„127 მილიონით ისეთს რას გავუკეთებდი ჩემს ოჯახს, რასაც ვერ გავუკეთებ 111 მილიონით? — კითხულობს არენასი — ხშირად გვინახავს, რომ მოთამაშეები მაქსიმუმს სთხოვენ კლუბებს და აუძლურებენ როგორც ფინანსურად, ისე სპორტულად. მერე გუნდს სხვა კარგი მოთამაშეებისთვის თანხები აღარ რჩება. მაგრამ მე არ ვარ ამ კატეგორიის კაცი. მირჩევნია, კარგ გუნდში ვითამაშო და ამხელა კონტრაქტიდან ერთი-ორ მილიონს ულაპარაკოდ ჩამოვიჭრი."

სხვათა შორის არენასმა ეს ყველაფერი პირადი აგენტის გარეშე გააკეთა. უფრო მეტიც, ის ახლა ჩინეთში სარეკლამო ტურში მოგზაურობს და იქიდან ტელეფონით შემოთვალა, ის 16 მილიონი კლუბის განვითარებისთვის გამოიყენეთო. ამ კაცისთვის სულ ერთი არ ჩანს „ვიზარდსის" მომავალი და თავის გუნდს ისე არ უყურებს, როგორც მეწველ ძროხას.

არენასი რომ არა, „ვაშინგტონი" ალბათ სხვა გუნდში გაუშვებდა ანთაუნ ჯემისონს, მაგრამ მისი დაჟინებული მოთხოვნით 32 წლის თავდამსხმელი 4 წლით და 50 მილიონად შეინარჩუნა და არენას-ჯემისონ-ბატლერის ვარსკვლავური ტრიო გახლეჩვას გადაურჩა.

გადაწყდა, რომ ძველ გუნდში დარჩება კრის პოლიც. „ნიუ ორლეან ჰორნეთსის" 23 წლის ლიდერმა ამ გუნდთან გატარებული სამი შთამბეჭდავი სეზონის შემდეგ ახალი ხელშეკრულება დადო, რომლის მიხედვითაც 4 წელიწადში 68 მილიონით გაიმდიდრებს საბანკო ანგარიშს. ასეთი ახალგაზრდა მოთამაშისთვის ეს მართლაც მაქსიმუმია და სიმართლე ითქვას, პოლის აგენტმა ბოლო დღეებში ბევრი იმუშავა და ბლომად სიტყვები დახარჯა, „ნიუ ორლეანს" თავისი ლიდერის წინ ეს ხელშეკრულება რომ დაედო.

**ირაკლი ფირაშვილი**



# ძიუდოისტებმა პეკინი შეავსეს

## ხაბარელმა გავაშელიშვილი თქვა

მაშ ასე, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ბოლო კითხვასაც გასცა პასუხი და 81 კგ-ში ნაკრებში ადგილი ახალგაზრდა საბა გავაშელიშვილს ანდო. სხვა წონისგან განსხვავებით, 81 კგ-ში ამ დრომდე გაურკვეველი იყო პეკინში წამსვლელი ძიუდოისტის ვინაობა, რადგან არჩევანი ორი თანაბარი ძალის მქონე სპორტსმენს შორის უნდა გაკეთებულიყო — გავაშელიშვილს კონკურენციას გიორგი ბაინდურაშვილი უწევდა, რომელმაც საქართველოს მოუტანა კიდეც საპეკინო ლიცენზია. შოთა ხაბარელმა და სამწვრთნელო შტაბმა კი უპირატესობა საერთაშორისო ტურნირებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით, გავაშელიშვილს მიაკუთვნეს. ეს საბასთვის პირველი ოლიმპიადა იქნება.

აქვე საქართველოს ნაკრების შემადგენლობას კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: ნესტორ ხერგიანი (60 კგ), ზაზა კედელაშვილი (66 კგ), დავით ქევხიშვილი (73 კგ), საბა გავაშელიშვილი (81 კგ), ირაკლი ცირეკიძე (90 კგ), ლომერ ჟორჟოლიანი (100 კგ), ლაშა გუჯეჯიანი (120 კგ.)

**ლევსო მაისურაძე**

# კომუნიზმის უკანასკნელი მოჰიკანი




**გერმანია** ეთხოვება ყველის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მძლეოსანს, ბადროს მტყორცნელ ლარს რიდელს. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი 41 წლის ასაკში ანებებს თავს სპორტს და მას ამ უქმეებზე ნიურნბერგში გასამართ გერმანიის ჩემპიონატზე საზეიმოდ გააცილებენ.

„მე ბოლო დრომდე მქონდა იმედი, რომ შევძლებდი პეკნის ოლიმპიადაზე მონაწილეობას და იქ გამოვეთხოვებოდი ტრიბუნებს, მაგრამ ზურგის ტრავმა და აუტანელი ტკივილი არ მაძლევს ამის საშუალებას“ — გულისტკივილით ამბობს გერმანელი ბადროს მტყორცნელი.

ამ ტრავმამ ვეტერან სპორტსმენს კარიერის ბოლო წლები ჩაუმწარა. 2006 წელს ერთ მომცრო ტურნირზე გამოსვლის შემდეგ მან ფაქტობრივად დაასრულა დიდი გამარჯვებებით მოოჭვილი კარიერა, 2007-ში არაერთხელ სცადა სარბიელზე გასვლა, მაგრამ ამაოდ, წლეულს კი საერთოდ არც უვარჯიშია და მიხვდა, რომ მართლა წასვლის დრო დაუდგა.

ამ გოლიათსაც მოერია დრო. თავის ეპოქაში ის საუკეთესო იყო, ან კი როგორ არ უნდა ყოფილიყო, როცა ბუნებამ 199-სანტიმეტრიანი, 115-კილოგრამიანი და ამვდროულად ძალზე მოქნილი სხეულით დააჯილდოვა. მისი გაშლილი ხელების განი 2,10 მეტრს შეადგენდა და რიდელი ბადროს ისე ისროდა, როგორც შურდული ქვას.

დაიბადა 1967 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მომცრო ქალაქ ცვიკაუში და აღიზარდა გდრის სპორტულ სისტემაში, მაგრამ ამ სისტემის მიერ შობილი მრავალი ვაიჩემპიონისგან განსხვავებით ის ნამდვილი ტალანტი იყო და კომუნისტური ბლოკის დაშლის და გდრ-ის გაუქმების შემდეგ სხვა მრავალი დოპინგით გაჭყეპილი სპორტსმენივით როდი ჩაიკარგა.

ის მალე დასავლეთ გერმანიაში გადავიდა საცხივრებლად, იქ ახალი მწვრთნელი ნახა და 1991 წელს ტოკიოში 24 წლისა პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. შემდეგ 1993 წელს შტუტგარტში, 1995 წელს გიოტებორგში, 1997 წელს ათენში და 2001 წელს ედმონტონში კიდევ ოთხჯერ მოიპოვა მსოფლიო ოქრო და 1996 წელს ატლანტაში მონაგრებული ოლიმპიური ოქროს მედლითაც გაამდიდრა თავისი საპრიზო სტენდი.

„ასეთი ათლეტი ათ წელიწადში მხოლოდ ერთი იბადება“ — თქვა ერთხელ მისმა მწვრთნელმა.

**ვანო კობიაშვილი**

# კაროლინა კლუფტი




# ასეთია კლუფტის აზრი

**შვედ** შვიდჭიდელ კაროლინა კლუფტს, როგორც ჩანს, მობეზრებია სირბილი, ხტომა და კრატყორცნა. პეკინის ოლიმპიადის შემდეგ მძლეოსნობის ერთ-ერთი პრიმა კარიერას დაასრულებს. არადა, ის მხოლოდ 25 წლისაა და თუ მოინდომებდა, სულ იოლად მიიტანდა ენერგიას 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადამდე.

„მე ვერ ვხედავ საკუთარ თავს ლონდონის ოლიმპიადაზე — ამბობს თეთრთავა შვედგოგო — ჯერ ზუსტად არ ვიცი, სად და როდის დავასრულებ კარიერას, მაგარმ პეკინის ოლიმპიადა უკანასკნელი დიდი ტურნირი იქნება ჩემთვის. შეიძლება, ცოტა ხნით კიდევ განვაგრძო გამოსვლა, მაგრამ არა ლონდონამდე. ოთხი წელი ძალიან ბევრია“.

შესაძლოა, კლუფტს ტერფის ტრავმა აიძულებს, წასვლაზე იფიქროს. იგი 2003 წლიდან მსოფლიოს უძლიერესი შვიდჭიდელია, ყველაფერს იგებდა, პეკინში კი ამ ტრავმის გადამკიდე შვიდჭიდზე უარის თქმა მოუხდა. ის იქ მხოლოდ სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში გამოვა.

წასვლაზე ხომ ლაპარაკობდა, კლუფტმა კიდევ ასეთი რამეც თქვა — დოპინგის ხმარებაში მხილებულები საერთოდ უნდა მოიკვეთონ სპორტიდანო. „ორწლიანი დისკვალიფიკაცია უმნიშვნელო სასჯელია მათთვის, ვინც ჩვენს სპორტს სახელს უბღალავს. ისინი, ვისაც დაუმტკიცდება დოპინგის ხმარება, საერთოდ აღარ უნდა გააკარონ სპორტს. ასეთია ჩემი აზრი.“

**ვანო კობიაშვილი**

# უორინერს მერიტი ტახტს ურყევს




ლაშონ მერიტი

**კონკურენციით** აღსავსე თანამედროვე სამყაროში სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება რაიმეში პირველობის ხანგრძლივად შენარჩუნება. ასეა მძლეოსნობაშიც. ამის მაგალითად 400 მეტრზე სირბილის ვარსკვლავი ჯერემი უორინერის მოყვანაც კმარა.

თეთრი ამერიკელი სუპერმორბენალი თვეების და წლების განმავლობაში აკავებდა ამ მოძალებულ კონკურენციას და მწვერვალზე ხანგრძლივად და ხელშეუხებლად ყოფნას ახერხებდა, მაგრამ ბოლო დროს ისე წამოეწივნენ მდევრები, რომ უორინერის ტახტი მისთვის ერთობ სახიფათოდ შეირყა. ამერიკელი წლეულს უკვე მეორედ დამარცხდა, თანაც მის ტახტს ვინმე უცხო კი არა, მისი მეგობარი და მოწინააღმდეგე, ამერიკელივე ლაშონ მერიტი არყევს.

მერიტმა უორინერს პირველად ბერლინში, ოქროს ლიგის პირველ ეტაპზე გაასწრო და ახლა იუჯინში მიმდინარე აშშ-ს შიდა პირველობაზეც უკან ჩამოიტოვა, რითაც ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც დაათმობინა.

400 მეტრის ფინალში დაძაბული ბრძოლა გაიმართა: უორინერმა როგორც სჩვევია, უსწრაფესად გაირბინა და მისთვის ჩვეულადვე, მეორე რკალზე, ანუ მე-300 მეტრზე დაავდო ტემპი, რათა უკანასკნელ 100-მეტრიან სწორზე დაეხარჯა დარჩენილი ენერგია. მერიტმაც ზუსტად მეორე რკალზე გაასწრო და საფინიშო სწორზე მასზე წინ გავიდა. ორმეტრიან ჩამორჩენას უორინერმა ველარაფერი მოუხერხა და დამარცხდა. მერიტის დრო იყო ზუსტად 44 წამი, ძლეულმა ვარსკვლავმა კი ფინიში სტარტიდან 44,20 წამშილა გადაკვეთა.

ამერიკის ახალგამომცხვარმა ჩემპიონმა ფრიად გაიხარა — მეორე რკალიდან რომ გამოვდიოდი, ცხვირში უკვე ვგრძნობდი გამარჯვების სურნელს, ახლა სახლში წავალ, ყველაფერს კარგად გავიაზრებ და ფიქრებს დავალაგებ, მე და ჯერემის წინ ხომ ოლიმპიადა გვიძევსო.

ისე კი პეკინის ოლიმპიადის ოფიციალური საგზური ორივეს ერგო. არაოფიციალურად კი ისინი კარგა ხანია ჩაეწერნენ პეკინში წასასვლელთა სიის სულ თავში.

**ვანო კობიაშვილი**

# ლაგატი პეკინში ამერიკელი იქნება

**ამერიკის** ოლიმპიურ გუნდს კიდევ ერთი მძლავრი მძლეოსანი შეემატა. მართალია, ამერიკელებს ზოგადად ბევრი ვარსკვლავი მორბენალი ჰყავთ, მაგრამ მათი უმრავლესობა მოკლე, სპრინტერული დისტანციების ხალხია. ახლა კი ამერიკას ოქროს იმედი ექნება ამ ქვეყნისთვის არატრადიციულ 1500 და 5000 მეტრებზეც, რადგან საბოლოოდ გადაიბირა კენიელი სტაიერი ბერნარდ ლაგატი.




ბერნარდ ლაგატი

ლაგატი 2004 წელს გახდა შეერთებული შტატების მოქალაქე, მაგრამ იააფ-ის მოთხოვნის თანახმად, ბოლო დრომდე ისტორიული სამშობლოს დროშით დარბოდა. მართალია, 2007 წლის ოსაკას მსოფლიოს პირველობაზე 1500 და 5000 მეტრებზე ამერიკას მოუტანა ოქროები, მაგრამ ოლიმპიადას სულ სხვა მოთხოვნები აქვს. ახლა კი, მისმა ამერიკულმა პასპორტმა საკმაო სიძველე რომ შეიძინა, ლაგატი სრულფასოვანი ამერიკელი გახდა, თანაც ამას წინათ იოლად მოიგო შტატების ჩემპიონატი თავის ორივე სახეობაში და ოლიმპიურ გუნდშიც პატივით დაიმკვიდრა ადგილი.

**ვანო კობიაშვილი**

# იქ, სადაც აკვანი დაირწა

მეცხრე ეტაპი **დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი**

## სილვერსტოუნი

*სილვერსტოუნი, 6 ივლისი*



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------------- **5.141 კმ**
**რბოლის დისტანცია** ---------------------- **60 წრე — 308.355 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16-00 საათზე*

**შარშანდელი შედეგები**

1. რაიკონენი (ფერარი); 2. ალონსო (მაკლარენი); 3. ჰემილტონი (მაკლარენი); 4. კუბიცა (**BMW**-ზაუბერი); 5. მასა (ფერარი); 6. ჰაიდფელდი (**BMW**-ზაუბერი); 7. კოვალაინენი (რენო); 8. ფიზიკელა (რენო)

**წრის რეკორდი:** 2004 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:18.739

**აჰა,** სილვერსტოუნის დროც მოვიდა, ლეგენდარული ტრასის, სადაც დაირწა კიდეც ფორმულა 1-ის აკვანი. ბოლო წლებში ბევრს ლაპარაკობენ დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზისთვის ადგილის შეცვლის შესახებ. ერთი პირობა, სულაც ამ ეტაპის საპირველფორმულო კალენდრიდან ამოღების შესახებაც იყო ლაპარაკი, აქაოდა, სილვერსტოუნის ავტოდრომი თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებსო. ახლაც, ამ დღეებშიც გაისმის ხმები ბრიტანული ეტაპის სილვერსტოუნიდან დონინგტონში გადატანის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით სილვერსტოუნი რჩება და რჩება „სამეფო რბოლების" პილოტთა ერთ-ერთ უსაყვარლეს ტრასად.

ერთია ცუდი — ამ უქმეებისთვის სინოპტიკოსები წვიმას ვარაუდობენ. ბოლო ხანებში სულ ასეა — სარბოლო უიქენდის წინ ამინდის პროგნოზებში უამინდობის თემა ჩნდება ხოლმე და აკი, მონაკოში კოკისპირულად იწვიმა კიდეც.

ისე, ივლისის პირველი რიცხვებისთვის ინგლისში წვიმა ჩვეულებრივი ამბავია და სინოპტიკოსთა პროგნოზებით კი დღეს, ანუ კვალიფიკაციისას, ნაღდად გაწვიმდება, ხოლო ხვალ, რბოლის დროს, 75-პროცენტით ავდარია მოსალოდნელი.

თუმც, თავი დავანებოთ მეტეოპროგნოზებს. დარი იქნება თუ ავდარი, რბოლა ჩატარდება და წესით, უაღრესად საინტერესო უნდა გამოდგეს.

დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი ყველაზე მეტჯერ, ხუთ-ხუთჯერ აქვთ მოგებული ლეგენდარულ შოტლანდიელ ჯიმი კლარკს (1962-65, 1967) და ფრანგ „პროფესორ" ალენ პროსტს (1983, 1985, 1989-90, 1993). თანაც, თუ კლარკმა ხუთჯერვე „ლოტუსის" ბოლიდით იმარჯვა, პროსტმა სილვერსტოუნზე ოთხი სხვადასხვა მანქანით მოიგო — 1983 წელს „რენოთი", შემდეგი ორი — „მაკლარენით", 1990 წელს — „ფერარით" და ბოლოს — „უილიამსით".

გასული საუკუნის 90-იანი წლები სილვერსტოუნზე, სწორედ „უილიამსის" ბატონობის ხანა იყო. 1991-97 წლებში ნაიჯელ მენსელმა, პროსტმა, დეიმონ ჰილმა და ჟაკ ვილნევმა შვიდიდან ექვსი რბოლა მოიგეს, ამის შემდეგ კი უპირატესობა, უკვე „მაკლარენისა" და „ფერარის" ხელში გადავიდა და 1998 წლიდან მოყოლებული, ამ ორი საჯინიბოს ბრიტანულ დავაში ჩარევა მხოლოდ ფერნანდო ალონსომ მოახერხა და შარშანწინ „რენოთი" იპირველა.

ალონსოს გარდა, მოქმედი პილოტებიდან სილვერსტოუნზე უმარჯვიათ დევიდ კულტჰარდს (1999-2000), რუბენს ბარიკელოს (2003) დაპ კიმი რაიკონენს (2007).

წორედ რაიკონენი ითვლება წლევანდელი რბოლის მთავარ ფავორიტად და მის შანსებს „უილიამ ჰილის" ყოვლისმცოდნე ბუქმეიკერები 2,1/1 კოეფიციენტით აფასებენ. მსოფლიოს ჩემპიონის შემდეგ ლუის ჰემილტონი (3,5/1) და ფელიპე მასა (3,75/1) მოდიან, სხვების მოგების ალბათობა კი საკმაოდ მცირეა.

მაგრამ ეს ყველაფერი წინასწარი პროგნოზებია. თანაც, თუ მართლა გაავდრდა, ყველა პროგნოზი, შეიძლება, ინგლისურ წყალს გაჰყვეს.

**ქახა ლომაძე**



ლუის ჰემილტონი მშობლიურ რბოლას კარგი განწყობით ხვდება




# კულტჰარდმა წასვლა თქმა

**დევიდ კულტჰარდი** სეზონის დასრულების შემდეგ „სამეფო რბოლებიდან" წავა. 37 წლის შოტლანდიელმა ამ განცხადების გასაკეთებლად იდეალური დრო და ადგილი შეარჩია — სილვერსტოუნის ავტოდრომი და დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი, რომელიც მას ორჯერ, 1999-2000 წლებში მოუგია.

„მსურს რომ სწორედ დღეს განვაცხადო ის, რაც უკვე გადაწყვეტილია — სეზონის ბოლოს ფორმულა 1-ის მრბოლის კარიერას დავასრულებ, თუმც ამის შემდეგაც აქტიურ მონაწილეობას მივიღებ საპირველფორმულო ცხოვრებაში. სავარაუდოდ, ჩემი ამჟამინდელი გუნდის, „რედ ბულის" კონსულტანტი ვიქნები და არც იმას გამოვრიცხავ, რომ სამომავლოდ სხვა კლასის მანქანების შეჯიბრშიც მივიღო მონაწილეობა — ნათქვამია კულტჰარდის მიერ სილვერსტოუნზე გავრცელებული პრეს-კომუნიკეში — ის, რომ ჩემი წასვლის შესახებ სწორედ სილვერსტოუნზე ვაკეთებ განცხადებას, ადვილი გასაგებია. მე ხომ აქ მოვიპოვე ჩემი 13 გამარჯვებიდან ორი და ამავდროულად, დიდი ბრიტანეთის მრბოლთა კლუბის წევრი ვარ. მე ვამაყობ იმ სამუშაოთი, რაც „რედ ბულში" გავწიე და სეზონის ბოლომდე, ანუ ბრაზილიურ ეტაპამდე იმავე მოტივაციით ვიქნები, როგორც აქამდე ვიყავი. აი, შემდეგ კი რბოლას შევეშვები და მთელ ჩემს გამოცდილებას მოვახმარ „რედ ბულს", რათა ამ გუნდმა თავის მიზანს მიაღწიოს და ფორმულა 1-ის ჩემპიონატის ეტაპი მოიგოს".

დევიდ კულტჰარდი 1971 წლის 27 მარტს შოტლანდიაში, თვინჰოლმში დაიბადა. მისი საპირველფორმულო დებიუტი 1994 წელს, ესპანეთის დიდ პრიზზე შედგა „უილიამსის" მანქანით. 1994-95 წლებში ის სწორედ „უილიამსის" ღირსებას იცავდა, შემდეგ კი მეორე ბრიტანულ საჯინიბოში, „მაკლარენში" გადავიდა და იქ ცხრა (1996-2004) სეზონი გაატარა, 2005 წლიდან კი ავსტრიული „რედ ბულის" ღირსებას იცავს.



თავის 15-წლიან კარიერაში კულტჰარდმა 237 რბოლაში მიიღო მონაწილეობა, მოიგო 13 დიდი პრიზი, 62-ჯერ შედგა პოდიუმზე და მოიპოვა 533 ქულა. დევიდის ანგარიშზეა 12 პოული და 17 უსწრაფესი წრე.

კულტჰარდის სამწუხაროდ, მისი კარიერის საუკეთესო წლები პირველ ფორმულაში მიხაელ შუმახერისა და მიკა ჰაკინენის ბატონობის პერიოდს დაემთხვა და ის ეგრეც ვერ გახდა ჩემპიონი.

სულ ბოლოს კულტჰარდმა ამ ოთხი კვირის წინ კანადის დიდ პრიზზე გაიბრწყინა, როდესაც ფანტასტიკურ რბოლაში მესამე ადგილი დაიკავა და „რედ ბულს" მიმდინარე სეზონში პირველი პოდიუმი მოუპოვა.

**ქახა ლომაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი

# მარყუჟი, რომელიც ჰალსტუხივით შენია

## უცვლელი მოდა, ფრანგული ველოწრე

არის სხვა ყველაფერი და არის „ტურ დე ფრანსი“, „ველოსპორტის ოლიმპი და ევერესტი“, როგორც ამ უდიდეს რბოლას სამგზის ჩემპიონმა ამერიკელმა გრეგ ლემონდმა უწოდა.

„ტურ დე ფრანსი“ არ არის ერთი კონკრეტული, თუნდაც ურთულესი და უპრესტიჟულესი სპორტული შეჯიბრი. „ტურ დე ფრანსი“ ცხოვრების სტილი და წესია, ის თავად ცხოვრებაა, რომელიც ყოველწლიურად, შუა ზაფხულში, ივლისის თვეში სამი კვირით იპყრობს მთელ საფრანგეთს და მთელ ველოსამყაროს.

ხვალ საფრანგეთის უკიდურეს დასავლეთში, ბრეტანის ნახევარკუნძულზე, ქალაქ ბრესტში 95-ედ დატრიალდება „ტურის“ კარუსელი, „დიდი მარყუჟი“, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ და სამი კვირა საფრანგეთი სულ სხვა ცხოვრებით იცხოვრებს






ფოტო შარშანდელი „ტურიდან“: ალეხანდრო ვალვერდე (მარცხნივ) და კედელ ევანსს შორის შემდგომში მოკვეთილი მიქაელ რასმუსენია

### ისტორია

„ტურ დე ფრანსის“ ისტორია 1903 წლიდან იწყება. პირველი გამარჯვებული ფრანგი მორის გერინი იყო და უკვე მაშინ, „ტურს“ არნახული აჟიოტაჟი ახლდა თან. მერე მიჰყვა და მიჰყვა. „ტურის“ ისტორიული მსვლელობა ორჯერ შეწყდა, გასული საუკუნის 910-იან და 40-იან წლებში მსოფლიო ომების გამო.

პირველი ომის გადამკიდე, ბელგიელი ფილიპ ტისი სამი გამარჯვებით (1913-14, 1920) დაკმაყოფილდა, ხოლო რომ არა მეორე მსოფლიო ომი, ველოსპორტის იტალიელი ლეგენდები ჯინო ბარტალი და ფაუსტო კოპი, ალბათ „ტურის“. მრავალგზის ჩემპიონები იქნებოდნენ, ისე კი, ისინი ორ-ორი გამარჯვებით დაკმაყოფილდნენ.

კოპის შემდეგ „ტურის“ გზებზე ფრანგი ლუსიენ ბობე ბატონობდა, რომელმაც ზედიზედ სამჯერ იმარჯვა და ესტაფეტა ხუთგზის ჩემპიონ თანამემამულე ჟაკ ანკეტილს გადასცა.

შემდეგ ველოგზებზე ყველაფრის შემმუსრავი და ყველაფრის მომგები ბელგიელი „კანიბალი“ ედი მერქსი გამოჩნდა, რომელმაც ასევე ხუთგზის შეკრა „დიდი მარყუჟი“ და შემდეგ იგივე ფრანგმა ბერნარ ინომ და ესპანელმა მიგელ ინდურაინმა გააკეთეს.

გასული საუკუნის ბოლოს კი ლენს არმსტრონგის ეპოქა დაიწყო — ამერიკელმა 1999-2005 წლებში მიჯრით შვიდჯერ იპირველა.

წავიდა არმსტრონგი და მონასტერი აირია. დოპინგსკანდალები „ტურს“ არც ადრე აკლდა, მაგრამ პოსტარმსტრონგულ ეპოქაში მაინც ძალიან გახშირდა — ფლოიდ ლენდისი, ალექსანდრ ვინოკუროვი, მიქაელ რასმუსენი, ძველი ჩემპიონის, ბიარნე რიისის აღიარება... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, „ტურის“ ისტორია დოპინგებით შეიბღალა.

### მარშრუტი

წლევანდელი, რიგით 95-ე „ტურ დე ფრანსი“, ანუ ქართულად რომ ვთქვათ, ფრანგული წრე, საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით დატრიალდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯერ პირინეის მთები იქნება და შემდეგ — ალპები.

ბრეტანს რომ მოილევს, „ტური“ საფრანგეთის შუაგულისკენ შეიწევს და შემდეგ სამხრეთისკენ, პირინეებისკენ დაეშვება, ესპანეთის საზღვარსა და ხმელთაშუას სანაპიროს გაუყვება, ალპებში იტალიაშიც გადავა და ბოლოს კი პარიზისკენ, ელისეს მინდვრებისკენ აიღებს გეზს.

3500 კილომეტრი ტრადიციულად 21 ეტაპად არის დაყოფილი. ამ 21 ეტაპიდან ორი ინდივიდუალურია — მეოთხე (29,5კმ) და მე-20 (53კმ); დანარჩენი ცხრამეტიდან 10 ბარის ეტაპია, 4-საშუალო მთიანეთში გაივლის და ხუთიც სამთოა, ორი პირინეებში და სამი ალპებში; ოთხი ეტაპის ფინიში აღმართში იქნება და სულ კი ველოქარავანს 17 უმაღლესი, პირველი და მეორე კატეგორიის სირთულის მთა ექნება დასალაშქრი.

### გუნდები

წლევანდელ „ტურზე“ 20 გუნდი გამოვა, ანუ ბრეტანში 20-ჯერ 9, ესე იგი 180 მრბოლი აიღებს სტარტს. ამ ოცი გუნდიდან ექვსი ფრანგულია („ბუჟ ტელეკომი“, „კრედიტ აგრიკოლი“, „კოფიდისი“, „ფრანსაიზ დე ჟუ“, AG2R, „აგრიტუბელი“), სამი ესპანური („კაის დეპარნი“, „ეუსკალტელი“, „სონი დიუვალი“), ორ-ორი გერმანული („გეროლშტაინერი“, „მილრამი“), იტალიური („ლამპრე“, „ლიქუიგასი“), ამერიკული („კოლუმბია“, „სლიპსტრიმი“) და ბელგიური („ქვიკ სტეპი“, „ლოტო“) და თითოც დანიური (CSC), ბრიტანული („ბარლვორლდი“) და ჰოლანდიური („რაბობანკი“).

ამათგან ორივე ამერიკული ველოგუნდი ახლადშექმნილია და პირველად გამოვა „ტურზე“, ხოლო ბრიტანულ „ბარლვორლდს“ შარშან ჰქონდა დებიუტი.

განაცხადში არ არის თანამედროვე პელოტონის ალბათ უძლიერესი ველოგუნდი, ლუქსემბურგში დარეგისტრირებული ყაზახური „ასტანა“, რომელსაც შარშანდელმა დოპინგცოდვებმა უწია და „ტურის“ ორგანიზატორებმა მიწვევაზე უარი უთხრეს.

### ფავორიტები

პოსტარმსტრონგულ ეპოქაში ყველაფერი აიარია. პელოტონს მთავარსარდალი აღარ ჰყავს და ერთი გამოკვეთილი ფავორიტის დასახელებაც საძნელო საქმე გახდა, მით უმეტეს, რომ არმსტრონგს თან მიჰყვა მისი მუდმივი მეტოქე, მრავალ დოპინგშარში გახვეული იან ულრიხი, მოკვეთილნი არიან ბოლო ორი „ტურის“ ფაქტობრივი გამარჯვებულები ფლოიდ ლენდისი და მიქაელ რასმუსენი, დისკვალიფიკაციას იხდის ივან ბასო და „ასტანას“ გადამკიდე, ვერც ალბერტო კონტადორი შეძლებს შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას.

სადღეისო სურათი კი ასეთია — პირველობისთვის ორნი, „კაის დეპარნის“ ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე და შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი, „ლოტოს“ ავსტრალიელი კედელ ევანსი იბრძოლებენ. ან ახლა, ან არასოდესო, ასეა 31 წლის ევანსის საქმე და ვალვერდე კი ველოსიპედისტისთვის იდეალურ, 28 წლის ასაკშია და ალბათ დროა, ამ ბასკმა მასზე ჯერ კიდევ არმსტრონგის ეპოქაში გაცემული ავანსები გაამართლოს.

ნუ დავივიწყებთ „ჯირო დიტალიას“ ძველ ჩემპიონს, „ლამპრეს“ იტალიელ დამიანო კუნეგოს, „რაბობანკის“ რუს დენის მენშოვს, ვისაც ორჯერ დაუპყრია ესპანური „ვუელტა“ და ესპანელ კარლოს სასტრეს, ვინც ზემძლავრი CSC-ის ლიდერია და ვისაც ლუქსემბურგელი ძმების, ფრენკ და ენდი შლეკების სახით ისეთი თანაშემწეები ჰყავს, თავადვე რომ ძალუძთ გენერალური კლასიფიკაციის მოწინავეობისთვის ბრძოლა.

არის კიდევ „კოლუმბიას“ ლუქსემბურგელი კიმ კირხენი და „ლიქუიგასის“ უნიჭიერესი ჩეხი რომან კროიციგერი, რომელმაც ახლახანს „შვეიცარიის ტური“ მოიგო. მაგრამ ის ჯერ მხოლოდ 22 წლისაა და თავის პირველ „ტურზე“ საჩემპიონოდ, ძნელად რომ გაიწიოს.

და ერთიც — ძველი ჩემპიონებიდან წლევანდელ რბოლაში მხოლოდ ესპანელი ოსკარ პერეირო სიო გამოვა, ვისაც 2006 წელს, ლენდისის დისკვალიფიკაციის შემდეგ დარჩა პირველობა, მაგრამ ის „კაის დეპარნის“ მრბოლია, ვალვერდეს გრეგარობისთვის არის განწირული და ნაკლებად სავარაუდოა, გუნდმა მასზე გააკეთოს აქცენტი.

**გია მუჯირი**

### 95-ე ტურ დე ფრანსის განრიგი

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 ივლისი | I ეტაპი | ბრესტი-პლუმელეცი | 197,5 კმ |
| 6 ივლისი | II ეტაპი | აურეი-სენტ ბრი | 164,5 |
| 7 ივლისი | III ეტაპი | სენტ მალო-ნანტი | 208 |
| 8 ივლისი | IV ეტაპი (ინდ. რბოლა) | შოლე | 29,5 |
| 9 ივლისი | V ეტაპი | შოლე-შატორუ | 232 |
| 10 ივლისი | VI ეტაპი | აიგურანდე-სუპერ ბეზი | 195,5 |
| 11 ივლისი | VII ეტაპი | ბრიუდე-აურილაკი | 159 |
| 12 ივლისი | VIII ეტაპი | ფიჟე-ტულუზი | 172,5 |
| 13 ივლისი | IX ეტაპი | ტულუზი-ბეზერე დე ბიგორი | 224 |
| 14 ივლისი | X ეტაპი | პო-ჰაუტაკამი | 156 |
| 15 ივლისი | *დასვენების დღე* | | |
| 16 ივლისი | XI ეტაპი | ლანემეზანი-ფოი | 167,5 |
| 17 ივლისი | XII ეტაპი | ლაველანი-ნარბონი | 168,5 |
| 18 ივლისი | XIII ეტაპი | ნარბონი-ნიმი | 182 |
| 19 ივლისი | XIV ეტაპი | ნიმი-დიჟ ვეს ბაინი | 194,5 |
| 20 ივლისი | XV ეტაპი | ემბრუნი-პრატო ნევოზო | 183 |
| 21 ივლისი | *დასვენების დღე* | | |
| 22 ივლისი | XVI ეტაპი | კუნევო-ჟუსიერი | 157 |
| 23 ივლისი | XVII ეტაპი | ემბურნი-ალპ დუეზი | 210,5 |
| 24 ივლისი | XVIII ეტაპი | ბურჟ დოისანი-სენტ ეტიენი | 196,5 |
| 25 ივლისი | XIX ეტაპი | როანი-მონტლუკონი | 165,5 |
| 26 ივლისი | XX ეტაპი (ინდ. რბოლა) | კერილი-სენტ მონფრონი | 53 |
| 27 ივლისი | XXI ეტაპი | ეტამიენი-პარიზი | 143 |

უიმბლდონი 2008. ბალახი. 23 ივნისი - 6 ივლისი
საპრიზო 14 883 120 J

# ისევ რაფა-როჯერი





**კაცები**
**ნახევარფინალი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:3 7:6 6:4; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:1 7:6 6:4**

კვირას ჩოგბურთის ყველა მოყვარულს დიდი სანახაობა ელის, როცა უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე მართლაც საოცნებო ფინალი გაიმართება. თანამედროვე ჩოგბურთის ორი კაშკაშა ვარსკვლავი ერთმანეთს კიდევ ერთხელ დაეტაკება, მაგრამ ეს შეხვედრა მაინც გამორჩეული იქნება ყველა დანარჩენისგან, რადგანაც ორივე ფორმის პიკზე იმყოფება და ამის დასტურად აგერ უკვე ორი კვირაა ლონდონში უბრალოდ დაფრინავენ. კვირას კი გადაწყდება ვინ იფრენს და ვინ დაენარცხება მიწაზე!

როჯერ ფედერერმა და რაფაელ ნადალმა გუშინაც დაამტკიცეს, რომ ტიტულზე განსაკუთრებულად არიან დაგეშილები. ისე გარკვეული ირონიაა იმაში, რომ კვირას რომელიმე მაინც შეეხება დიდი ბიორნ ბორგის ერთ-ერთ რეკორდს — თუ შვეიცარიელი მოიგებს, მაშინ შვედს გადაუსწრებს და თანამედროვე ერაში პირველ მეჩოგნედ იქცევა უიმბლდონი ექვსჯერ რომ ექნება მოგებული. ხოლო თუ გამარჯვება ესპანელს დარჩება, მაშინ ის პირველი იქნება იმავე ბორგის შემდეგ, რომელიც ზედიზედ მოახერხებს თიხნარისა და ბალახის მეიჯორების — „როლან გაროსისა“ და „უიმბლდონის“ მოგებას.

ისე საინტერესოა, თავად ბორგს რომელი რეკორდი უფრო ემეტება და შესაბამისად ვის მხარეს იქნება ფინალში.

ჩვენ კი გუშინდელ ნახევარფინალებს მივუბრუნდეთ, რომლებიც ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს — ფედერერმაც და ნადალმაც ადვილად იხეირეს და სამ-სამ სეტში მოათავეს საქმე. თანაც ორივე ორ საათში ჩაეტია.

მიუხედავად იმისა, რომ ფედერერმა უფრო ცოტა მოანდომა მარატ საფინის წაქცევას, მაინც მიგვაჩნია, რომ შვეიცარიელს უფრო მეტად გაუჭირდა. რუსმა გოლიათმა საკმაოდ თანაბარი ბრძოლა გაუმართა დიად ალპელს და გადამწყვეტ მომენტებში ცოტა მედგრად რომ დამდგარიყო, მინიმუმ სეტს მაინც გამოკრავდა ხელს. თუმც ეს ის საფინი აღარ არის, რაც ვთქვათ სამი წლის წინ იყო, როცა „მხიარულ როჯერს“ როგორც სწორს, ისე უყურებდა და ეთამაშებოდა. გუშინ მარატს ზურგზე მძიმე ტვირთად აწვა ბოლო სეზონებში ნაჩვენები ამაზრზენი თამაში და ამან არ მისცა ბოლომდე გახსნის საშუალება. რუსი შებოჭილად თამაშობდა და ამის გამო რამდენიმე საკვანძო მომენტში უბრალო შეცდომებიც დაუშვა, რითაც ყველა ბოძებული შანსი გაანიავა.

საფინმა განსაკუთრებით კარგად საკუთარ მოწოდებაზე ითამაშა და მიღებაზე ფედერერის მაგვარი ძლიერი მეჩოგნეც კი „აშიშშილა“. ალპელმა მხოლოდ ორჯერ დააბრეიკა მეტოქე — ჯერ სულ თავიდან, როცა აბდულშაჰულისა არ იყოს, რუსს ჯერ გამარჯობაც არ ეთქვა. მეორედ კი მატჩის მიწურულს, როცა მარატს აშკარად ეტყობოდა ხელჩაქნეულობა. სხვა მხრივ კი თანაბარი თამაში იყო და სლავს ცოტა მეტი თვითრწმენა რომ ჰქონოდა, ფედერერს მეტად გაუჭირდებოდა.

ასეა თუ ისე, ალპელმა საათსა და 42 წუთში მოამთავრა საქმე, საფინმა კი ნადალსა და მის სამწვრთნელო შტაბს კარგი მინიშნებები მისცა, როცა ფედერერის სუსტი მხარეები დაანახა.

თავად ესპანელმა კი სულ გრიალ-გრიალით დაიწყო რანერ შუტლერთან შეხვედრა და პირველი სეტი 20 წუთში ჩაათამაშა. ამან მალიორკელი აშკარად მოადუნა, რადგანაც გერმანელმა თანდათან მოუმატა და მეორე პარტიის დასაწყისში დაწინაურდა კიდეც. შუტლერი ტემპის მუდმივი ცვლილებითა და ჩახლართული კომბინაციებით კარგა ხანს ჩიხში აქცევდა ესპანელს — გერმანელსაც ერთი გეიმიღა აკლდა სეტებში ანგარიშის გათანაბრებამდე, მაგრამ რაფა რისი რაფა იქნებოდა მეტოქისთვის ამის საშუალება მიეცა. ესპანელმა მაინც გააკეთა საპასუხო ბრეიკი და შემდეგ ტაიბრეიკზე მაინც მოაშთო მეტოქე. ამის შემდეგ კი ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო და პირინეელმაც დიდ ხანს აღარ ანერვიულა თავისიანები, შუტლერს გააქტიურების ყველა შანსი მოუსპო და ზედიზედ მესამე უიმბლდონური ფინალის საგზური გაინაღდა.

**კახა ლომაშვილი**




კეტი ჰოფი

# ქალფელპსა ჰოფი

**ნებრასკას** შტატის ქალაქ ომაჰაში მიმდინარე ამერიკის ჩემპიონატის მეოთხე დღემ, წინა სამისგან განსხვავებით, მსოფლიოს რეკორდების გარეშე ჩაიარა, თუმც მოცურავეებს დასასვენებლად არც ამჯერად ეცალათ.

19 წლის ქალთევზა კეტი ჰოფმა ოლიმპიურ სამზადისში თვით მაიკლ ფელპსსაც კი გადააჭარბა და მასზე წინ წასვლა მოინდომა. ამერიკის ჩემპიონატში მან უკვე მოიგო ოთხი სახეობა და წინ უძევს კიდევ ორი, რომელთაც, სავარაუდოდ, ასევე მოიგებს და პეკინის ოლიმპიადაზე, ახალ აშენებულ ფანტასტიკურ საცურაო აუზში მაყურებლის წინაშე ექვს ინდივიდუალურ და სამ ესტაფეტურ სახეობაში გამოვა და ცხრა ოქროსთვის ბრძოლა მოუწევს. ძნელი სათქმელია, ცხრავე გაცურვაში „შეახვედრებენ“ ოქროს თუ არა, მაგრამ ამ ფითქინა გოგოს სურვილები რომ მართლაც გასცდა ჩვეულებრივი სპორტსმენის მოთხოვნებებს, ამაზე უკვე მთელი ამერიკა ალაპარაკდა.

თანაც ჰოფს ფელპსიც „ანებივრებს“ და საუბარში ყოველთვის თავის პატარა დაიკოდ მოიხსენიებს. როგორც ჩანს, ესეც ქოქავს ჰყოფს ოლიმპიური ოქროებისკენ. ათენში ის მხოლოდ 15 წლის იყო და ვერაფერიც ვერ მოიგო, ჰოდა, პეკინში სურს „დანაკარგის“ შევსება.

რეკორდი არ დაუმყარებია, მაგრამ ოთხშაბათს ჰოფმა ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო 200 თავისუფალში და 200 მეტრ კომპლექსურ ცურვაში, მანამდე მოგებული აქვს 400 კომპლექსური და 400 თავისუფალი და კიდევ 100 და 800 თავისუფალი მეტრები დარჩა.

ამასობაში ფელპსმა მორიგი, მეოთხე სახეობის ფინალი მოიგო და ოლიმპიური საგზური მიიღო. ოთხშაბათს მან 200 მეტრ ბატერფლაიში იმარჯვა. თანაც თავისივე მსოფლიო რეკორდს გამოეკიდა და 1.52,20 დროის ჩვენებით სულ 0,11 წამი დააკლდა. სულ ფელპსი ალბათ შემდეგ ხუთ ინდივიდუალურ სახეობაში გავა პეკინში — 200 თავისუფალი, 200 და 400 კომპლექსური, 100 და 200 ბატერფლაი. ამას დაუმატეთ სამი ესტაფეტა — 4X100, 4X200 თავისუფალი და 4X100 კომპლექსური. 4X100 თავისუფალ ესტაფეტაში სამონაწილეოდ მას 100 მეტრ თავისუფალში გამოსვლა დასჭირდა, ისე კი ამ დისციპლინის ინდივიდუალურ ფინალში პეკინში ალბათ აღარ გავა, მართალი ვთქვათ და 100 მეტრში ყველაზე დიდი კონკურენციაა და ამ ყველაზე პრესტიჟულ დისციპლინას რომ გამოედევნოს, შეიძლება, ფელპსს სხვები განზე დარჩეს. ამასთან ახლა მან უარი თქვა 100 მეტრ გულაღმა გაცურვაზე და ამგვარად საპეკინო ფინალები რვამდე, ანუ ზუსტად იმ რიცხვამდე შეამცირა, რამდენი ოქროც მას სურს. ფელპსი ხომ ლეგენდარული მარკ სპიცის 7-ოქროიანი ოლიმპიური რეკორდის მოხსნას აპირებს. პეკინში მას უკან დასახევი გზა აღარ იქნება, უნდა მოიგოს ყველა სახეობა, რომელშიც გამოვა, ერთი წაგებაც და მოსჭამა ჭირი ახალმა სუპერრეკორდმა.

**განო ძოზიაშვილი**

# ანა და დოქტორის გოგო

**ქართველი** ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოსტონის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიან ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა.

პირველ წრეში, მასპინძელ მოურინ დიასთან გამარჯვების შემდეგ, ანას მეტოქედ მე-3 ნომრად განთესილი უნგრელი მელინდა ჩენკი ერგო. ქართველი პირველ სეტში 5:3-ს იგებდა, როდესაც უნგრელმა თამაში შეწყვიტა და ჩვენებური მეოთხედფინალში გაატარა.

ტატიშვილის მორიგი მეტოქე 27 წლის ამერიკელი ალექსანდრა სტივენსონია, ვინც კალათბურთის ლეგენდის, ჯულიუს ირვინგის (იგივე „დოქტორ ჯეი“) უკანონო ქალიშვილი გახლავთ. სტივენსონი ოდესღაც უპერსპექტიულეს ჩოგბურთელად ითვლებოდა. 1999 წელს, 18 წლის ასაკში, მან თავის



ალექსანდრა სტივენსონი

პირველივე უიმბლდონზე ნახევარფინალს უწია, ხოლო სამი წლის შემდეგ რეიტინგში კარიერის უმაღლეს, მე-18 საფეხურზე ავიდა. აი, ამის შემდეგ კი „დოქტორ ჯეის“ გოგოს საქმეები უკან-უკან წავიდა და ამჟამად ის რეიტინგში ოდენ 234-ეა.

ბოსტონური შეჯიბრის მეორე წრეში სტივენსონმა 6:4 6:4 მოუგო მე-6 ნომრად განთესილ არგენტინელ ნატალი გრენდენს.

ძალოსნობა

# მუტლუც დაბერებულა

**ძალოსნობის** ისტორიამ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი არ იცის. თავის დროზე კახი კახიაშვილმა და პიროს დიმასმა ამაოდ სცადეს მეოთხე ოლიმპის დაპყრობა და ბარსელონაში (1992 წელს), ატლანტასა )1998) და სიდნეიში (2000) ტრიუმფების შემდეგ, 2004 წელს ათენში, საკუთარი ქომაგების თვალწინ ფიასკო განიცადეს.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია თურქი ჰალილ მუტლუც. ატლანტაში მან 54 კგ. წონით კატეგორიაში აჯობა ყველას, ხოლო სიდნეისა და ათენში 56 კგ. წონაში იპირველა. ათენის შემდეგ მუტლუმ დაიტრაბახა, პეკინშიც მოვიგებ და პირველი ძალოსანი გავხდები, ვისაც ოთხი ოლიმპიადა მოუგიაო, მაგრამ...

ათენის შემდეგ მუტლუს საქმეები უკან-უკან წავიდა. 2005 წელს ის დოპინგზე ჩავარდა, ორწლიანი დისკვალიფიკაციის მოხდის მერე კი ისევ დაუბრუნდა თავის საქმეს და ოცნების ასასრულებლად დაიწყო მზადება.

ვაგლახ, რომ ამაოდ. დაბერებულა ჰალილ მუტლუ. წლეულს აპრილში მან 13 წლის მანძილზე პირველად იწვნია მარცხი საერთაშორისო ასპარეზზე და ახლა კი, ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე საკონტროლო წონა ვერ აწია.

ვერ აწია, მიხვდა, რომ 34 წლისას ძველებური ჯანი აღარ აქვს და თურქეთის სპორტის მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ ბრძანა, მორჩა, მე ჩემი უკვე ავწიე, ახლა სხვების ჯერიაო.





# წყლის წმენდა

ქინგლაოს წყლებში ოლიმპიური მზადება მიმდინარეობს. ათასობით ჯარისკაცი იქაურობას წმენდს წყალმცენარეებისგან, ზღვის ქალღმერთი კი მედიდურად გადმოსცქერის შემმოწმებელთა ნავებს.



# სტეპლჩეიზის გოგოები

ქალთა სამიათასმეტრიანი სტეპლჩეიზის გამარჯვებულნი ლინდსი ანფერსონი (ვერცხლი), ანა ვილარდი (ოქრო) და ჯენიფერ ბარნგერმი, საქმემოლეულნი ჩამსხდარან ხელოვნურ გუბურაში. ამერიკელები საპეკინოდ შეჯიბრობენ და აჰა, ხარობენ კიდეც, ოქროს მედალოსანი თავის დროსაც უჩვენებს იუჯინის (ორეგონი) სტადიონის ტაბლოზე.






# საბეისბოლო მაღარიჩი

კოლორადო როკიზის რაიან სპილბრო თანაგუნდელებს წვერის საპარსით გაუთხუპნიათ ჯილდოდ იმ თუ-რანისთვის, რომელმაც კოლორადოელებს ფლორიდელი მარლინები დაამარცხებინათ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზელდიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge